დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ქალაქ თბილისის N 131 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მანანა ალიბეგაშვილი

წევრები:

მარი ფალელაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);

ნინო აბესაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი); მარიამ ლეკიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

სოფიკო მჭედლიშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

თეონა ჯაფარიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

მორის გუმბარიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,, წევრი); ლელა კვირტია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი); შაქრო ჟღენტი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი); ედუარდ ნაკაიძე(სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი); ნათია კურტანიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი,)

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ თბილისის N 131 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	208142730

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი .თბილისი
იურიდიული მისამართი	ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N12
ფაქტობრივი მისამართი	ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N12
საფოსტო ინდექსი	**0137**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	ვებ გვერდი არ აქვს
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Tbilisi131@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	032 2 40 14 16

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	ბრ.N 994620 18.08.2023
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	3 და 4 ოქტომბერი 2023წ

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო

	პროგრამის სახელწოდება	**პროგრამის საფეხური**	**პროგრამის განხორციელების ენა**	**პროგრამის განხორციელების ადგილის** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	ქ.თბილისის ბესარიონ ჭიჭინაძის ქ N 12
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	ქ.თბილისის ბესარიონ ჭიჭინაძის ქ N 12
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	ქ.თბილისის ბესარიონ ჭიჭინაძის ქ N 12

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2023 წლის 3 და 4 ოქტომბერს შედგა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი,სსიპ ქალაქ თბილისისN 133 საჯარო სკოლაში, შემდეგი შემადგენლობით მანანა ალიბეგაშვილი თავმჯდომარ,მარი ფალელაშვილი, ნინო აბესაძე,მარიამ ლეკიაშვილი, სოფიკო მჭედლიშვილი , თეონა ჯაფარიძე, მორის გუმბარიძე, ლელა კვირტია,შაქრო ჟღენტი, ედუარდ ნაკაიძე,ნათია კურტანიძე,ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

ვიზიტმა მშვიდ ,თანამშრომლობით გარემოში ჩაიარა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 1300	**ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება** ☒	*აღწერა* *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ექსპერტთა ჯგუფის მიერ სრულად შეფასდა ზოგადსაგანმანათლებლო პროგარამის დაწყებითი,საბაზო და საშუალო საფეხურის პროგრამები

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი		.....
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი		.....

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

სტანდარტი 1	**სკოლის ფილოსოფია**	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		.....
სტანდარტი 3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	
ინდიკატორი .3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლას ვიზიტის დროს გაგზავნილი ქონდა წერილი სამხარაულის საექსპერტო ბიუროში შენობის მდგრადობის დადგენის მიზნით, ასევე უკვე განხორციელებული იყო შენობის შეფასება და ელოდდენ პასუხს.სკოლას მიეცა რეკომენდაცია ეზრუნა პასუხის დროულ მიღებაზე.შესაბამისობის გეგმის ფარგლებში გამოაგზავნეს სამხარაულის საექსპერტო ბიუროსა და სკოლას შორის 2023 წლის 26 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულება,რომლის საფიძველზე დგინდება ,რომ დასკვნა სკოლას გადაეგზავნება 10 სამუშაო დღის ფარგლებში.ინდიკატორი 3.4.1.1. გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.

სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი		.....
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი ...		.....

სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*რჩევა*
ინდიკატორი		.....

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები სკოლამ გაიზიარა და წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა.ექსპერთთა მიერ სრულად იქნა გაზიარებული სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორი N 3.4.1.1,გადავიდა მეტწილ შესაბისობაში.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია ,ხედვა და ღირებულებები,რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის და შვიდწლიანი სტრატეგიის შემადგენელი ნაწილია სრულ შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან.კერძოდ სკოლის მისიაა დემოკრატიული და მაღალი სამოქალაქო ფასეულობებით განმსჭვალული ახალი თაობის აღზრდა, რომელიც შეძლებს მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოყენებას, როგორც განათლების შემდეგ საფეხურებზე, ისე სხვადასხვა ცხოვრებისეულ ეტაპზე.სკოლის ხედვაა ისეთი შემოქმედებითი, უსაფრთხო და მულტიკულტურული სასწავლო გარემოს შექმნა, რომელშიც ყველა შესაძლებლობის მოსწავლე სრულად გამოავლენს საკუთარ პოტენციალს და შეძლებს ჩამოყალიბდეს მაღალი პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქედ.

ინდიკატორი 1.1.1.1 სტანდარტს შეესაბამება

2.სკოლა თავისი მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს,როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს,რადგან პროცესები დაფუძნებულია ისეთ ღირებულებებზე,როგორიცაა თანამშრომლობა; გუნდურობა; ღიაობა; და დემოკრატიული მართვა; ამ ღირებულებების არსებობა დადასტურდა ადგილზე ვიზიტისას და სასკოლო საზოგადოებისწევრებთან გასაუბრებისას.

ინდიკატორი 1.1.1.2 სტანდარტს შეესაბამება

3.სკოლაში ვიზიტისას სასკოლო საზოგადოებასთან შეხვედრისას გამოვლინდა,რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია,ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით,კერძოდ სკოლის დირექტორის მიერ შეიქმნა სამუშაო ჯგუფი ,რომელმაც შეიმუშავა კითხვარები და ამ კვლევის შედეგების გაანალიზების შემდეგ შეიტანა ცვლილებები მიღებულ მისასა და ხედვაში.

ინდიკატორი 1.1.1.3 სტანდარტს შეესაბამება

4.ადგილზე გასაუბრებისას და დოკუმენტაციის გაცნიბით გამოიკვეთა,რომ დამრიგებლები სადამრიგებლო საათის ფარგლებში ასევე ინდივიდუალური შეხვედრების დროს როგორც მოსწავლეებს ისე მათ მშობლებს აცნობენ სკოლის მისიას და ხედვას,ასევე სასკოლო სასწავლო გეგმა,რომლის ნაწილია მისია,ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.თუმცა დირექციის წევრები აღნიშნავენ რომ კიდევ უფრო ფართო გაზიარების მიზნით განხორციელდება ანკეტური გამოკითხვა და შედეგების გათვალისწინება .

ინდიკატორი 1.1.1.4 სტანდარტს შეესაბამება

5.სკოლის მისია,ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე.Facbook გვერდზე და სკოლის საინფორმაციო დაფაზე.

ინდიკატორი 1.1.1.5 სტანდარტს შეესაბამება

6.სკოლის სახელწოდება განისაზღვრება საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანების და ბრძანება N 194 16.03.2007 შესაბამისად.

ინდიკატორი 1.1.1.6 სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 1 შვიდწლიანი სტრატეგია

დანართი N 10 სკოლის წესდება

სკოლის ვებ გვერდი skolebi. emis.ge

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას დირექტორის ბრძანებით 2023 წ 1 ივნისს დამტკიცებული აქვს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია.ამდოკუმენტში განსაზღვრულია,მისიის,ხედვის შემუშავების სტრატეგიები და მასზე დაფუძნებული შვიდწლიანი სტრატეგიის და მისი შესაბამისი ერთწლიანი სამოქმედო გეგმის არსი და შემუშავების ფაზები.ასევე განსაზღვრულია მონიტორინგის პერიოდები და რეაგირების მექანიზმები.

ინდიკატორი 1.2.1.1 სტანდარტს შეესაბამება

2.სკოლამ წარმოადგინა 2022-2029 წლების სტრატეგია,რომლის პრეამბულაში განსაზღვრულია რომ სტრატეგია ემსახურება გრძელვადინი მიზნების მიღწევას,გამომდინარეობს სკოლიის მისიიდან და ხედვიდან და განსაზღვრავს ამ მიზნის მისაღწევ ამოცანებს და კონკრეტულ აქტივობებს.

ინდიკატორი 1.2.1.2 სტანდარტს შეესაბამება

3.სკოლამ ადგილზე ვიზიტისას წარმოადგინა 2023 წლის 6 სექტემბერს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა,რომელიც სრულ შესაბამისობაშია სკოლის შვიდწლიან სტრატეგიასთან,ეფუძნება წინა წლის შედეგების ანალიზს და გაწერილია 10 მიმართულებით დაგეგმილი აქტივობები,პასუხისმგებელი პირები და შესრულების ვადები.

ინდიკატორი 1.2.1.3 სტანდარტს შეესაბამება

4.2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში ყველა მიმართულებით(სკოლის ორგანიზაციული განვითრება,სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება,დემოკრატიული კულტურის დამკვიდრება,სკოლის კომპიუტერიზაცია,მატერიალური ბაზის

სრულყოფა,უსაფრთხო გარემოს შექმნა,მშობელთა ჩართულობა,მასწავლებელთა პროფესიული განვითრება,)გაწერილია აქტივობები,ვადები და პასუხისმგებელი პირები

ინდიკატორი 1.2.1.4 სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები)

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 1შვიდწლიანი სტრატეგია
დანართი N2 2023-2024 სამოქმედო გეგმა
დანართი N3 სამეურვეოს ოქმი

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს გადახედვის პროცესებს და ვადებს ასევე დაგეგმილისგან განსხვავებულ გადახედვის ინიცირების პროცედურებს.კერძოდ გადახედვის ინიცირება შესაძლებელია დადგენილ ვადამდე 6 თვით ადერე ან დაუყონებლივ თუ გამოიკვეტა რაიმე ისეთი შედა და გარე ფაქტორი,რომელიც გავლენას ახდებს პროცესების შედეგებზე.

ინდიკატორი 1.2.2.1 სტანდარტს შეესაბამება

2.მეთოდოლოგიის შესაბამისად სტრატეგიული დაგეგმარების მიმართულებების შესრულების მონიტორინგი და შეფასება ხდება ყოველწლიურად სამუშაო ჯგუფის მიერ.აღნიშნული ჯგუფი უკუკავშირის მიღების მიზნით ხვდება დაინტერესებულ სასკოლო საზოგადოების წევრებს და მიღებული შედეგები გათვალისწინებულია მომავალ სამოქმედო გეგმაში.

ინდიკატორი 1.2.2.2 სტანდარტს შეესაბამება

3.როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილ მეთოდოლოგიაშია მითითებული სტრატეგიული დაგეგმარების და მისი შესაბამისი სამოქმედო გეგმის საბოლოო ვარიანტი განსახილველად გადაეცემა სამუშაო ჯგუფას უკუკავშირის მიღების მიზნით და და შესწორებული ვარიანტი დაიდება სკოლის საინფორმაციო გვერდებზე.

ინდიკატორი 1.2.2.3 სტანდარტს შეესაბამება

4.ადგილზე გასაუბრების და მეთოდოლოგიის შესაბამისად დგინდება,რომ შესრულების შედეგები გამოიყენება სამომავლო სამოქმედო გეგმის შედგენისას,ასევე საჭიროების შემთხვევაში გადახედვის შედეგების შესაბამისად შედის ცვლილებები არსებულ სტრტეგიასა და სამოქმედო გეგმაში.

ინდიკატორი 1.2.2.4 სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N11 სტრატებიული გეგმის შემუსავების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მოქმედი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები განსაზღვრულია სკოლის წესდებით,შინაგანაწესით და ხელშეკრულებების საფუძველზე.სკოლის სტრუქტურა მოიცავს: ადმინისტრაციას, ტეკნიკურ პერსონალს, პედაგოგიურ საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, დირექციას, მოსწავლეთა თვითმმართველობას და დისციპლინურ კომიტეტს.

ინდიკატორი 3.1.1.1 სტანდარტს შეესაბამება

2.სკოლაში ვიზიტისას და სასკოლო საზოგადოებასტან გასაუბრების შედეგად დადგინდა,რომ სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებიდა პასუხისმგებლობები ისე არის გადანაწილებული,რომ საგანმანათლებლო საქმიანობა შეუფერხებლად მიმდინარეობს.კერძოდ რომელიმე თანამშრომლის არ ყოფნის შემთხვევაში დირექტორის ბრზანებით ხდება ფუნქციის გადანაწილება და სასწავლო პროცესი შეუფერხებლად მიმდინარეობს

ინდიკატორი 3.1.1.2 სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N10 წესდება

დანართი N 15 შინაგანაწესი

დანართი N16 ხელშეკრულება

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ შემუშავებული ადამიანური მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად.ამ დოკუმენტის მიზანია უზრუნველყოს დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის პროცესების წარმართვა ეფექტიანად,დაწესებულების მისიიასთან,ხედვასა და ღირებულებეთან შესაბამისობით.ასევე შექმნას გარემო,რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალურ წარმოჩენას და რეალიზებას.
ინდიკატორი 3.1.2.1 სტანდარტს შეესაბამება

2.სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკა.კერძოდ სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს მართვის ციკლს,სტრატეგიას,სამუშაოს აღწერილობას,სამუსაოს შრფასების კრიტერიუმებს და პერიოდულობას,რაც უზრუნველყოფსპრევენციული პოლიტიკის გატარებას.

ინდიკატორი 3.1.2.2 სტანდარტს შეესაბამება

3.სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური მართვის პოლიტიკის დოკუმენტის 10-16 მუხლები განსაზღვრავს კადრების მოზიდვა,შერჩევის,კონკურსის გამოცხადების,კონკურსის ეტაპების და შერჩეული პერსონალის კვალიფიკაციას.

ინდიკატორი 3.1.2.3 სტანდარტს შეესაბამება

4.პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.სკოლაში მუშაობს 84-თანამშრომელი.მათ შორის 68 მასწავლებელი,რომელთაგან 4 მენტორი, 7 წამყვანი,- 57 უფროსი. სკოლას 2020 წლის მერე მიღებული ყავს 24 თანამშრომელი,ყველა მათგანს აქვს კანონმდებლობის შესაბამისი ცნობები .

ინდიკატორი 3.1.2.4 სტანდარტს შეესაბამება

5.სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა ეფუძნება შემდეგ ღირებულებებს:დამსახურებაზე დაფუძნებული მიდგომა,სამართლიანობა,თანასწორობა,თანაბარი შესაძლებლობები,მიზანსწრაფულობა,გამჭირვაობა,პროფესიული განვითარება,მონაწილეობა და ორიენტირება ხარისხზე.

ინდიკატორი 3.1.2.5 სტანდარტს შეესაბამება

6.როგორც ადგილზე გასაუბრებისას,ასევე სკოლი დოკუმენტაციის გაცნობისას დადგინდა სკოლას აქვს წარმატებული აღიარების და გაზიარების გამოცდილება.კერძოდ სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტის მუხლი N21

თანამშრომელთა მოტივაცია გულისხმობს ჭახალისების ფორმებს და მიზანია თანამშრომელთა სტიმულირება,კვალიფიკაფიური პერსონალის მოზიდვა და შენარჩუნება.

ინდიკატორი 3.1.2.6 სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N17 ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს პერსონალის შეფასების და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები.კერძოდ სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარების ჯგუფი ,რომლის მიზანია მასწავლებელთა საჭიროებების დადგენა თანამშრომლ;ობითი პრინციპების დაცვით და რეკომენდაციების გაცემა საჭირო ტრენინგებისა თუ გამოცდილების გაზიარების კუთხით.ასევე სამოქმედო გეგმა და სკოლის სტრატეგია,რომლის ერთ-ერთ მიმართულებად სწორედ პერსონალის საჭიროებების დადგენას და მათზე დაფუძნებული აქტივობების დაგეგმვას გულისხმობს.

ინდიკატორი 3.2.1.1 სტანდარტს შეესაბამება

2.როგორც სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა პერსონალის განვითარება ხდება საჭიროებების შესაბამისად.ხარისხის განვითარების ჯგუფის და მონიტორინგის პროცესების შედეგებზე დაფუძნებით.სკოლა მომავალი სასწავლო წლიდან კიდევ მეტ აქტივობას გეგმავს პერსონალის პროფესიული განვითარების კუთხით.

ინდიკატორი 3.2.1.2 სტანდარტს შეესაბამება

3.სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ წინსვლას.კერძოდ ურთიერთგაზიარების და გუნდური მუშაობის შედეგად გაიცემა არგუმენტირებული რეკომენდაციები,სკოლა ჩართულია USAIDპროექტში,რომელიც ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ ზრდის პროცესს.

ინდიკატორი 3.2.1.3 სტანდარტს შეესაბამება

4.სკოლა ხელს უწყობს ახალ თანამშრომელთა ადაპტაციის პროცესს.კერძოდ მიმდინარეობს სასკოლო გარემოს,შინაგანაწესის და სკოლის საჭიროებების გაცნობა,შეხვედრები კათედრების დონეზე და ახალ თანამშრომელტა საჭიროებების გამოვლენა.მასზე დაფუძნებით აქტივობების დაგეგმვა.

5.როგორც სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებისას დადგინდა სკოლაში თანამშრომლობითი გარემო უზრუნველყოფილია სწორედ პერსონალის ინციატივების წახალისებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 18 უკუკავშირი

დანართი N 19 ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომებს და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად.კერძოდ სკოლის მიერ დამტკიცებული ხარისხისს უზრუნველყოფის დებულების მიზანია სასწავლო პროცესის ხარისხის და ორგანიზებასთან დაკავშირებულისაქმიანობის შეფასებადა ინსტიტუციური მხარდაჭერა,პროფესიული დიალოგის გაძლიერება და თანამშრომლობითი კულტურის ხელშეწყობა.სკოლის მიერ დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს მართვის ციკლს და სტრატეგიებს.

ინდიკატორი N 3.3.1.1.სტანდარტს შეესაბამება

2. სკოლის მიერ იდენტიფიცირებული და აღწერილია სასკოლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი ძირითადი და დამხმარე პროცესებითითოეულ თანამშრომელთან დადებულ ხელშეკრულებებში,სკოლის სტრუქტურასა და შინაგანაწესში.

ინდიკატორი N 3.3.1.2.სტანდარტს შეესაბამება

3.სკოლაში თანამშრომელთა,მოსწავლეთა და მათ წარმომადგენელთა მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების პროცედურები უზრუნველყოფილია სკოლის შინაგანაწესით,სკოლასა და თითოეულ მათგანთან გაფორმებული ხელშეკრულებებით,სკოლაში არსებულ დისციპლინური კომიტეტის,მრჩეველთა საბჭოს მოსწავლეთა თვითმმართველობის არსებობით.

ინდიკატორი N 3.3.1.3.სტანდარტს შეესაბამება

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.კერძოდ სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა,დისციპლინუირ კომიტეტი,მრჩეველთა საბჭო.რომელთა წევრების არჩევის პროცესი მიმდინარეობს გამჭირვალეობის პრინციპით.

ინდიკატორი N 3.3.1.4.სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლამ ადგილზე ვიზიტისას წარმოადგინა 2023 წლის 29 სექტემბერს დამტკიცებული „მშობლებთან ურთიერთობის დებულება“(კომუნიკაციის სტრატეგია)რომელიც განსაზღვრავს მშობთან ურთიერთობის სტრატეგიებს,ფორმებსა და პრინციპებს.ასევე სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი, Facbook გვერდი და საინფორმაციო დაფა სადაც განთავსებულია ყველა სახის საჭირო ინფორმაცია.უკუკავშირის მიღება ხორციელდება დამრიგებლების საშუალებით კლასებისთვის შექმნილი ჯგუფების საშუალებით.

ინდიკატორი N 3.3.2.1.სტანდარტს შეესაბამება

2.როგორც ადგილზე ვიზიტის დროს სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით და არჩევითი ორგანოების ოქმების გაცნობის შედეგად დადგინდა სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობა.

ინდიკატორი N 3.3.2.2.სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

დანართი N 21 კომუნიკაციის წესი

დანართი Sklebi emis.ge

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას,მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და დახმარების აღმოჩენას.სკოლამ წარმოადგინა სგანგებო სიტუაციების მართვის დოკუმენტი რომელიც შეთანხმებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთან.სკოლას დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ყავს სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.სკოლის,როგორც შიდა ისე გარე ტერიტორიაზე განთავსებულია-23- კამერა.(8 გარე,15 შიდა)მათ შორის სპორტულ დარბაზში,ამასთან სპორტული დარბაზის შესასვლელში განთავსებულია გაფრთხილება

კამერის არსებობის შესახებ.სკოლას ყავს კანონმდებლობის შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმი,ფსიქოლოგი,სკოლის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს სოციალური სამსახურის კაბინეტი.სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს შენობის მდგრადობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია,თუმცა2023 წლის 21 ივნისს გაგზავნილია წერილი სამხარაულის საექსპერტო ბიუროში შენობის მდგრადობის დადგენის მიზნით.(ადგილზე ვიზიტისას სკოლამ განაცხადა,რომ უკვე განხორციელდა შენობის შეფასება და ელოდება პასუხს). სკოლამ შესაბამისობის გეგმის ფარგლებში გამოაგზავნა 2023 წლის 26 ოქტომბერს სამხარაულის საექსპერტო ბიუროსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება,რომლის საფიძველზე დგინდება ,რომ დასკვნა სკოლას გადაეგზავნება 10 სამუშაო დღის ფარგლებში.ინდიკატორი 3.4.1.1. გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.

ინდიკატორი N 3.4.1.1. სტანდარტს მეტწილად შეესაბამება

2.სასკოლო გარემოს დათვალიერების და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა,რომ სკოლაში უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა დამრიგებლების, მორიგე მასწავლებლების მანდატურის სამსახურის და სკოლის დარაჯის მიერ. სკოლის შესასვლელი სრულად კონტროლდება.

ინდიკატორი N 3.4.1.2.სტანდარტს შეესაბამება

3.სკოლის ფსიქოლოგიურ და ემოციურ გარემოს დაცულობას უზრუნველყოფს სკოლის ფსიქოლოგი,3 სპეც მასწაცლებელი,სკოლაში ასევე ფუნქციონირებს სოციალური სამსახურის კაბინეტი.

ინდიკატორი N 3.4.1.3.სტანდარტს შეესაბამება

4.სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას.კერძოდ სკოლას ჰყავს 4 დამლაგებელი,რომელთა ხელშეკრულებით განსაზღვრული მოვალეობების შესრულებას მონიტორინგს უწევს სკოლის ექიმი და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციებს აწვდის დირექციას.ასევე მიმდინარეობს კვების ობიექტის მონიტორინგი.სკოლას მოსწავლეთა რაოდენობიდან გამომდინარე მათი უსაფრთხოების მიზნით საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის ბრძანება N 41 -ის შესაბამისად რეკომენდირებულია ყავდეს 2 ექიმი.

ინდიკატორი N 3.4.1.4.სტანდარტს შეესაბამება

5.სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული“ პერსონალურ მონაცემთა“დაცვის წესი.ამ დოკუმენტით განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დამუშავეის პროცედირები და მონიტორინგის მექანიზმები.სკოლას ასევე ბრძანებით განსაზღვრული ყავს ამ პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი N 3.4.1.5.სტანდარტს შეესაბამება

6.სკოლა მის ხელთ არსებულ მონაცემთა დაცვას უზურნველყოფს სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული “პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი“- ეს დოკუმენტი განსაზღვრავს მონაცემთა დაცვის მექანიზმებს ცალკეულ (ელექტრონული ფოსტის,ტელეფონის ნომრის, შენობაში შესვლა-გამოსვლის,ელექტრონული საქმის წარმოების....)შემთხვევებში.

ინდიკატორი N 3.4.1.6.სტანდარტს შეესაბამება

7.როგორც სკოლის დოკუმენტაციის,ისე ადგილზე სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა,რომ სკოლა მუდმივად ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.კერძოდ სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ყავს სასკოლო კვების რეკომენდაციის შესრულების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი(სკოლის ექიმი) ასევე სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პერიოდულობა და ინსტრუმენტები.სკოლამ ადგიზე ვიზიტისას წარმოადგინა 2023 წლის 12 სექტემბერს დამტკიცებული „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების“ დოკუმენტი.

ინდიკატორი N 3.4.1.7.სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 25 პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი

დანართი N23 ექიმის ხელშეკრულება

დანართი N24 ადამიანებისა დაპროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი

დანართი N 20 წერილი სამხარაულის საექსპერტო ბიუროს

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - ქალაქ თბილისის N131 საჯარო სკოლა განთავსებულია 11650.00 კვ.მ. ფართობზე მასზე არსებული შენობა-ნაგებობით. შენობა არის 3 სართულიანია 29 საკლსო ოთახით (სწავლება ორ ცვლაში მიმდინარეობს).სამივე სართულზე განლაგებულია 10 სველი წერტილი,ბიბლიოთეკა,ექიმის კაბინეტი, რესურს ოთახი,ფსიქოლოგის კაბინეტი, სპორტული და სააქტო დარბაზები,კომპიუტერული ლაბორატორია, სკოლაში ფუნქციონირებს ბუფეტი. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებულია 24 კომპიუტერი; 8 პროექტორი; 1 ცალი პრინტერი;

ინდიკატორი 3.5.1.1. სტანდარტს შეესაბამება

2.სკოლის ინფრასტრუქტურა,მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის.კერძოდ,სკოლის შენობის ყველა სართულზე არის ადაპტირებული ტუალეტები,შენობას აქვს შემოსასვლელში პანდუსი,ასევე პანდუსია მთავარი შენობიდან სხვა ფლიგელში გასასვლელათ.სკოლას გაგზავნილი აქვს წერილი ინფრასტრუქტურის სააგენტოსტვის ლიფტის დამონტაჟების მოთხოვნით რაც კიდევ მეტად უზრუნველყოფს საერთო სივრცეების გამოყენებას ნებისმიერი მოსწავლისტავის (სკოლას ამ ეტაპზე არ ყავს ეტლით მოსარგებლე)

ინდიკატორი 3.5.1.2. სტანდარტს შეესაბამება

3.სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს.სკოლის ნებისმიერი სივრცე ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. სკოლას შემუსავებული აქვს როგორც ბიბლიოთეკის ასევე კომპიუტერული ლაბორატორიის სარგებლობის წესები.სკოლას ყავს სამი სპეც. პედაგოგი, ორი ასისტენტი, ერთი ფსიქოლოგი

ინდიკატორი 3.5.1.3. სტანდარტს შეესაბამება

4.სკოლაში არის სააქტო და სპორტული დარბაზები, სადაც ტარდება სხვადასხვა ღონისძიება. სკოლის გარე სპორტული მოედნისთვის, ფართობის ნაწილი 5111.00 კვ.მ გადაეცა მუნიციპალიეტეტის მერიას, სპორტული მოედნის მოწყობის მიზნით, სადაც უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა მხრიდან სხვადასხვა სპორტულ აქტივობებში მონაწილეობის საშუალება. სკოლის ბიბლიოთეკაში ეწყობა ლიტერატურული საღამოები; ჯანსაღი ცხოვრების დანერგვის, ეზოს გამწვანების, დასუფთავების და სხვა აქციები.

ინდიკატორი 3.5.1.4. სტანდარტს შეესაბამება

5. ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში საგნობრივი ექსპერტების დახმარებითა და რეკომენდაციებით სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო კურიკულუმი, რომელშიც გაწერილია აქტივობების შესაბამისი რესურსი და რომლის გამოყენება აქტიურად მიმდინარეობს.ბიბლიოთეკა შედგება სათანადო წიგნადი ფონდისაგან. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საგნის სასწავლო წიგნის თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, დამხმარე სახელმძღვანელოები, პერიოდიკა და ა.შ. საბუნებისმეტყველო სათავსოში განთავსებულია კოლბები; მულაჟები; მიკროსკოპები; მაგნიტები; პლასტმასის ცილინდრები; კომპასი და სხვა ნივთები, რომლის დახმარებითაც მოსწავლეებს შეუძლიათ პრაქტიკული მუშაობა, ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს ცალკე საბუნებისმეტყველო ლაბორატორია,მაგრამ გასაუბრების შედეგად დადგინდა ,რომ აქტიურად ტარდება შესაბამისი ცდები საკლასო ოთახებში სათავსოში განთავსებული რესურსის გამოყენებით. სკოლის სპორტული დარბაზი აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით.

ინდიკატორი 3.5.1.5. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

დანართი N 60 წერილი ინფრასტრუქტურის სააგენტოს

დანართი N 28 ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი

დანართი N26 ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელშიც განთავსებულია 24 კომპიუტერი; 8 პროექტორი, კომპიუტერული ლაბორატორია უზრუნველყოფილია მუდმივი ინტერნეტით. ელექტრონული რესურსი, მრავალფეროვანი მასალები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის.მოსწავლეებს შეუძლიათ გაკვეთილის მომზადებისას ისარგებლონ კომპიუტერული ლაბორატორიით. სკოლაში გამართულიად მუშაობს ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა, რომელიც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის და ადმინისტრაციული პროცესის მართვას.

ინდიკატორი 3.6.1.1. სტანდარტს შეესაბამება

2. სკოლაში არსებული კომპიუტერული ტექნიკა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და მასწავლებლებითვის, როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე გაკვეთილების დასრულების შემდეგ, სკოლას ინტერნეტი მიეწოდება შენობის სამივე სართულზე. შემუშავებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი; როგორც ადგილზე გასაუბრებისას დადგინდა კომპიუტერული ლაბორატორია აქტიურად გამოიყენება თვითმმართველობის მოსწავლეების მიერ სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვისა თუ კლუბური მუშაობის დროს.

ინდიკატორი 3.6.1.2. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისად დამტკიცებული საქმისწარმოების წესის შესაბამისად.ეს დოკუმენტი განსაზღვრავს საქმისწარმოაებაზე პასუხისმგებელ პირს,დოკუმენტის მომზადების ფორმებს,არქივის წარმოებას და დოკუმენტებუს შენახვის ვადებსა და ამ პროცესზე პასუხისმგებელ პირს.

ინდიკატორი 3.6.2.1. სტანდარტს შეესაბამება

2.სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. კერძოდ დოკუმენტ ბრუნვის პროცესი უზრუნველყოფილია eflow-ს და eschcool.emis.ge-ის მეშვეობით.ამ პროცესის ნორმალურ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი და საინფორმაციო მენეჯერი.

ინდიკატორი 3.6.2.2. სტანდარტს შეესაბამება

3. ვიზუალური დათვალიერების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში,სადაც სრულყოფილად ასახავს ინფორმაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებით. სკოლის პროფილის, პერსონალისა და მოსწავლეების, მათი მშობლების შესახებ ინფორმაცია ასახულია eschool.emis.ge ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, შევსებულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ყველა სავალდებულო ველი. შესაბამისად აღნიშნულ სისტემაში ადმინისტრატორის ფუნქციით დირექტორთან ერთად საქმეთა მმართველი.

ინდიკატორი 3.6.2.3. სტანდარტს შეესაბამება

4.ადგილზე გასაუბრების და დოკუმენტ ბრუნვის სისტემის დათვალიერების შ დადგინდა, რომ სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის ნაწილში სკოლა ანგარიშვალდებულია სამეურვეო საბჭოსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წინაშე მოთხოვნის შესაბამისად. სამეურვეო საბჭოს კონტროლის ძირითადი მექანიზმი არის ყოველი წლის 10 დეკემბერს დირექტორის ანგარიშის მოსმენა, სადაც დირექტორი წარადგენს წლიურ ანგარიშს სკოლაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვან პროცესთან დაკავშირებით ამომწურავად. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებასა და ეფექტურ კომუნიკაციას საკომუნიკაციო არხების საშუალებით სკოლის საქმიანობისა და განხორციელებული პროგრამების შესახებ.

შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული შემოსული წერილებზე რეაგირების, მოსწავლეთა მობილობის განაცხადებზე რეაგირების შესწავლის საფუძველზე დასტურდება, რომ წერილები წაკითხულია და სტატუსი (გავეცანი, შევასრულე) მინიჭებული აქვს ადრესატის მიერ, რეაგირება/პასუხი განხორციელებულია ვადების დაცვით, რაც ეფექტურ უკუკავშირის და თანამშრომლობის დამადასტურებელია.:

ინდიკატორი 3.6.2.4. სტანდარტს შეესაბამება

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 29 საქმის წარმოების წესი

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტ
6. ურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას სკოლის ოფიციალური ვებ გვერდისა და Facbook გვერდის საშუალებით

ინდიკატორი 3.6.3.1. სტანდარტს შეესაბამება

2.სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

ინდიკატორი 3.6.3.2. სტანდარტს შეესაბამება

3.სკოლა დამრიგებლებისა და ინდივიდუალური შეხვედრების საფუძველზე იღებს უკუკავშირს როგორც მშობლის ისე მოსწავლისგან და მათ შეფასებებს იყენებს სამომავლო აქტივობების დაგეგმვის პროცესში.

ინდიკატორი 3.6.3.3. სტანდარტს შეესაბამება

4,სკოლს ვებ გვერდზე განთავსებულია სკოლის შესახებ არსებული ინფორმაცია ქართულ ენაზე

ინდიკატორი 3.6.3.4. სტანდარტს შეესაბამება

5.სკოლის ვებ გვერდზე განთავსებულია სკოლის მისია,ხედვა,ღირებულებები,სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორი 3.6.3.5. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის ვებ გვრდი skolebi emid.ge

დანართი N 21 კომუნიკაციის წესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. .სკოლის ფიანასური რესურსით უზრუნლეყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება,კერძოდ სკოლის დაფინანსების წყაროა ვაუჩერული დაფინანსება და იჯარის შემოსავლები,სკოლას გაიჯარებული აქვს 17 კვ მ ბუფეტის ფუნქციონირებისთვის (2წლის ვადით) სპორტული დარბაზი კალათბურთის და რაგბის წრეებისთვის,(1 წლის ვადით)სააქტო დარბაზი ცეკვის წრის ფუნქციონირების მიზნით(2 წლის ვადით) გაიჯარების პროცედურები სრულ შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან.აუქციონი გამოცხადებული ყველა შემთხვევაში კანონით გათვალისწინებული ორგანოების ნებართვის შედეგად.გამარჯვებულების გამოვლენის შემდეგ ხელშეკრულებები გაფორმდა ცეკვის წრის შემთხვევაში 2023 წ 13 ივნისს,ხოლო ბუფეტის ფუნქციონირების მიზნით არსებულ ფართზე კი 2023 წ.12 ივნისს.

ინდიკატორი 3.7.1.1. სტანდარტს შეესაბამება

2.სკოლას გააჩნია შესყიდვების გეგმა. აღნიშნულ გეგმაში დეტალურად გაწერილია სკოლის საჭიროებები. სკოლის ფინანსური რესურსების დაგეგმვასა და მართვას უზრუნველყოფს სკოლის დირექცია სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით. ყოველი წლის 20 დეკემბრამდე დირექცია ბიუჯეტის პროექტს დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს და მასთან ერთად განიხილავს პრიორიტეტულ საკითხებს. კათედრების, სამეურვეო საბჭოს, პედსაბჭოს, საგნის მასწავლებლების, პროექტზე მომუშავე ჯგუფების წერილობითი მომართვის საფუძველზე, სადაც გეგმავენ ახალი სასწავლო წლის რესურსებსა და საჭიროებებს, სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით წერილობითი მომართვის საფუძველზე

შიმუშავებს ბიუჯეტის პროექტს, რომელასაც შემდეგ განიხილავს პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და ამტკიცებს სამეურვეო საბჭოს სხდომაზე.

ინდიკატორი 3.7.1.2. სტანდარტს შეესაბამება

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 33 სამეურვეი საბჭის ოქმი
დანართი N 35 ფაქტობრივი ბიუჯეტი
შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში მოსწავლეთა უფლებების დაცვის გარანტია უზრუნველყოფილია სკოლის შინაგანაწესით,სკოლასა და მოსწავლის მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით,სკოლაში მოქმედი დისციპლინური კომიტეტის,მრჩეველთა საბჭოს და მოსწავლეთა თვითმმართველობის არსებობით.სკოლას რჩევის სახით მიეცა რომ შექმნას რაიმე სახის დოკუმენტი,რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს მათი კანონით განსაზღვრული უფლებების დაცვის მიზნით.

ინდიკატორი 4.1.1.1. სტანდარტს შეესაბამება

2.სკოლის შინაგანაწესის და მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების გაცნობა ხდება სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში,ასევე გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე და განთავსებულია სკოლის საინფორმაციო გვერდებზე.

ინდიკატორი 4.1.1.2. სტანდარტს შეესაბამება

3.პირველი კლასის ან ნებისმიერი ასაკის მობილობის საფუძველზე გადმოსულ მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელსა და სკოლას შორის ფორმდება კანონმდებლობის შესაბამისიმკაფიო და გამჭირვალე ხელშეკრულება

ინდიკატორი 4.1.1.1. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 15 სკოლის შინაგანაწესი

დანართი N სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას 2023წ 12 ივნისს დამტკიცებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის,საფეხურის დაძლევის,მობილობის,სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მარეგულირებელი დოკუმენტი,რომელიც შესაბამისია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის ბრძ N04/ნ განსაზღვრული პროცედურებისა.

ინდიკატორი 4.1.2.1. სტანდარტს შეესაბამება

2.სკოლა სრულად იცავს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოსწავლის ჩარიცხვის,საფეხურის დაძლევის,მობილობის,სტატუსის შეჩერების მექანიზმებს.კერძოდ მუდმივად ხდება მოსწავლის გაცდენების მონიტორინგი,მონიტორინგის შედეგების მშობლისთვის გაცნობა თუ რა შედეგი შეიძლება მოყვეს აღნიშნულ ქმედებას, ასევე მუდმივად დგინდება პრობლემები და ამ პრობლემის გამომწვევი მიზეზების დადგენა და რეაგირება.

ინდიკატორი 4.1.2.2. სტანდარტს შეესაბამება

3.სკოლის მიერ მისისა და ხედვის შესაბამისად ფუნქვიონირებს რამოდენიმე კლუბი-მკითხველთა,სპორტული და სამოქალაქო კლუბები.ამ კლუბების საქმიანობის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია სკოლის Facbook გვერდზე,საინფორმაციო დაფაზე და მიეწოდებათ მშობლებს და მოსწავლეებს დამრიგებლების საშუალებით,როგორც სადამრიგებლო საათის ფარგლებში ისე

პირად შეხვედრების დროს.გარდა ამისა სკოლა მოსწავლეებს მეორე ენად ფართო არცევანს სთავაზობს.კერძოდ გერმანულ,ფრანგულ და იტალიურ ენებს შორის ხდება არჩევანის გაკეთება.

ინდიკატორი 4.1.2. 3.სტანდარტს შეესაბამება

4.სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებისას და დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად დადგინდა,რომ სკოლის მიერ მიწოდებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია არის კანონმდებლობის შესაბამისი,გამჭირვალე და ნებისმიერი მოსწავლისთვის საჯარო და ხელმისაწვდომი.

ინდიკატორი 4.1.2.4. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 41 ბრძანება და წესი, სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ;

დანართი : სკოლის ვებ გვერდი -skolebi emis.ge

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლამ წარმოადგინა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის შიდა სასკოლო დოკუმენტი,რომლის მიხედვით განსაზღვრულია მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპები ასევე ადაპტაციისა და დეზადაპტაციის ნიშნები და მასზე მოქმედიფაქტორები. ამ დოკუმენტის გაცნობის და გასაუბრების შედეგად დადგინდა,რომ ნებისმიერი ახალი მოსწავლის ადაპტაციის პროცესს უზრუნველყოფს კლასის დამრიგებელი, აცნობს სკოლის შინაგანაწესს,მოსწავლეთა უფლება-მოვალეობებს,გასაუბრების შედეგად ადგენს მოსწავის ინტერესებსა და საჭიროებებს და მასზე დაყდნობით წარმართავსშმდგომ პროცესებს.

ინდიკატორი 4.2.1.1. სტანდარტს შეესაბამება

2.როგორც სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა,სკოლის ადმინისტრაცია დიდ ყურადღებას აქცევს პირველკლასელთა ადპტაციის პროცესს.კერძოდ ინიშნება ღია კარის დღე პირვეკლასელთა მშობლებისთვის და მიმდინარეობს სასკოლო გარემოს,სკოლის შინაგანაწესის,მოსწავლეთა უფლება-მოვალეობების გაცნობა და ინდივიდუალური გასაუბრებისას

მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა.სწავლის დაწყების დღიდან კი მოსწავლეებისტვის სასკოლო გარემოს აღქმის და მისი საჭიროებისამებრ გამოყენების მიზნით ათვალირებინებენ დამრიგებლები თითოეულ კაბინეტს და აცნობებნ მათ დანიშნულებას.

ინდიკატორი 4.2.1.2. სტანდარტს შეესაბამება

3.მოსწავლე საჭიროების შემთხვევაში იღებს სათანდო კონსულტაციას და მხარდაჭერას,როგორც სემესტრული გამოცდის დანიშვნის შემთხვევაში,ისე საშემოდგომო ან ექსტერნის გამოცდების დროს.დირექციის მხრიდან ინიშნება კონსულტაციები,რომელთ განრიგი საჯაროა.

ინდიკატორი 4.2.1.3. სტანდარტს შეესაბამება

4.სკოლა მოსწავლეს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს კონსულტაციას მათი უფლებების ან მოვალეობების რეალიზებასთან დაკავშირებით.პროცესი უზრუნველყოფილია სკოლაში არსებული თვითმმართველობის,დისციპლინური კომიტეტის ,მჩევლთა საბჭოს და საჭიროების შემთხვევაში სოციალური სამსახურების მიერ.

ინდიკატორი 4.2.1.4. სტანდარტს შეესაბამება

5.სკოლა უზრუნველყოფს არაფორმალური განათლების კუთხით აქტივობების წარმართვას.სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ინციატივით შექმნილი რამოდენიმე კლუბი, (სპორტული,მკითხველთა და სამოქალაქო)ტარდება შეხვედრები და საღამოები მოსწავლეთა თვითმმართველობის ჩართულობითა და ინიცირებით.

ინდიკატორი 4.2.1.5. სტანდარტს შეესაბამება

6.როგორც ადგილზე გასაუბრებისა და თვითშეფასების კითხვარიდან დგინდება ამ აქტივობების შეფასების მიზნით ადმინისტრაცია მოსწავლეებისგან იღებს ზეპირ უკუკავშირს და მომავალი წლიდან აპირებენ სვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით უკუკავშირის მიღებას და შედეგების გათვალისწინებას მომავალ საქმიანობაში..

ინდიკატორი 4.2.1.6. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 42 მოსწავლეთათვითმმართველობის დებულება

დანართი N43 მოსწავლეთა გარემოსთან ადაპტაციის წესი
დანართი N 50 კლუბები

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტირების სწორად დაგეგმვის გამო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის მუდმივად ხდებაინფორმაციის მიწოდება,შეხვედრების სხვადასხვა უნივერსიტეტებთან და ვიზიტები პროფესიულ კოლეჯებში.

ინდიკატორი 4.2.2.1. სტანდარტს შეესაბამება

2.სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა,რომ დამრიგებლები სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში,ასევე ინდივიდუალური შეხვედრების დროს მუდმივად აწვდიან ინფორმაციას სკოლის შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

ინდიკატორი 4.2.2.2. სტანდარტს შეესაბამება

3.ადმინისტარციასთან გასაუბრებით დადგინდა,რომ სკოლა მუდმივად აგროვებს ინფორმაციას კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების შესახებ,იწვევს კურსდამტავრებულებს შეხვედრებზე და მათგან მიღებულ უკუკავშირს იყენებს სამომავლო დაგეგმვის პროცესში.

ინდიკატორი 4.2.2.3. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 45 მემორანდუმი კოლეჯთან

..

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლამ წარმოადგინა ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგამა,რომელშიც გაწერილია ყველა ის აქტივობა,რომელიც უზრუნველყოფს 33 სსსმ მოსწავლის წარმატებაზე.ამ გეგმაში გაწერილი მიზნების მიღწევის პროცესში აქტიურად, სასკოლო საზოგადოებასთან ერთად, მონაწილეობს 3 სპეც მასწავლებელი,2 ასისტენტი და 1 ფსიქოლოგი.

ინდიკატორი 4.2.3.1. სტანდარტს შეესაბამება

2.სსსმ მოსწავლეთა წინსვლას და განვითარებას განაპირობებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და თანამსრომლობა ყველა რგოლს სორის.კერძოდ ისგ ჯგუფი სპეც მასწავლებლებტან ერტად ადგენს მოსწავლეთა საჭიროებებს ,რომლის გათვალისწინებით იქმნება ინდივიდუალური გეგმები და რომელტა მონიტორინგი მიმდინარეობს წლის დასაწყისში შექმნის შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ.

ინდიკატორი 4.2.3.2. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

დანართი 49 ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა

დანართი N 52 სსსმ მოსაწავლეტა ინტერვენცია

დანართი N 52 შიდამონიტორინგის ჯგუფის დასკვნა.

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში არ ფუნქციონირებს გახანგრძლივებული სწავლება და რაიმე სახის ფასიანი წრე.სკოლას ბუფეტის ფუნქციონირების მიზნით გაიჯარებული აქვს-17,1კვ.მ ასევე გაიჯარებულია სპორტული დარბაზი კალათბურთის,რაგბისსტუდიებზე ხოლო სააქტო დარბაზი კი ქართული ცეკვის სტუდიაზე.ყველა იჯარა განხორციელებულია კანონმდებლობის სრული დაცვით.

ინდიკატორი 4.2.4.1. სტანდარტს შეესაბამება

2.სკოლის მიერ შემოთავაზებული არასავლდებულო მომსახურება ხორციედება ნებაყოფილობით და შესაბამისი კანონმდებლობის სრული დაცვით.კერძოდ ყველა იჯარა გაცემულია შესაბამის ორგანოებთან შეთანხმების ფდა ყველა პროცედურის დაცვით.

ინდიკატორი 4.2.4.2. სტანდარტს შეესაბამება

3.ყველა სახის მომსახურება განხორციელებულია კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვებით.

ინდიკატორი 4.2.4.3. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N34 გაიჯარების პროცედურები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში ყველა სავალდებულო ველი შევსებულია. როგორც სკოლაში მოქმედი კათედრების წევრებმა აღნიშნეს, ისინი აგრძელებენ თანამშრომლობას და კურუკულუმის სრულყოფაზე მუშაობას ურთიერთანმაშრომლობით და ერთმანეთის გამოცდილების გაზიარებით.

   მასწავლებლებთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა , რომ კარგად იცნობენ მესამე თაობის ესგ-ს და აცნობიერებენ კურიკულუმის თითოეული კომპონენტი რას მოიაზრებს, რა კავშირია მათ შორის, რა არის განსაზღვრული სტანდარტით და რისი შეცვლა შეუძლიათ საჭიროების შემთხვევაში. გასაუბრებისას მასწავლებლებმა ჩამოაყალიბეს სწორი ხედვა, თუ როგორ უნდა წარმართონ სასწავლო პროცესი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესში ჩართულია შესაბამისი კათედრის ყველა წევრი. 2023-2024 კურიკულუმის შექმნისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და შესაძლებლობები. როგორც ინტერვიუებიდან გამოჩნდა პირველ რიგში, მოხდა მოსწავლის ასაკობრივი დონისა და აკადემიური უნარების გათვალისწინება, ასევე ინტერესის სფეროები,შემდეგ კი შეიმუშავეს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობების, დავალებები. სკოლის დაწყებით საფეხურზე ერთ-ერთი ძლიერ მხარეა ურთიერთთანამშრომლობითი კულტურა, სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება და მათი ნაყოფიერი ჩართულობა. როგორც პედაგოგებმა ინტერვიუების დროს აღნიშნეს სასკოლო კურუკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესებიც. ასევე აქცენტი გააკეთეს იმაზეც, რომ დავალებების დიდი ნაწილი ძირითადად კლასში სრულდება და შედარებით მცირე ნაწილი აქვთ საშინაო დავალებად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. კურუკულუმის შექმნაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. კურიკულუმის შემუშავების დროს კათედრებზე ხდება გამოცდილების გაზიარება, საჭიროების გაანალიზება, შემდეგ კი თანმშრომლობის საფუძველზე ხდება არსებული გამოცდილების,სასკოლო საზოგადოების მზაობის, წინარე ცოდნის, შესაძლებლობების გათვალისწინებით მოახდინეს შესაბამისი მოდიფიცირება. სკოლაში დაწყებითი საფეხური კურიკულუმის განვითარება არის პროცესი და ამ პროცესში კათედრის წევრებს აქვთ მზაობა, მიმღებლობა გაითვალისწინონ კოლეგების აზრი და გამოცდილება კურუკულუმის სრულყოფისთვის, სკოლაში ვიზიტის დროს, სასწავლო წლის დასაწყისში, კათედრის წევრები აგრძელებენ მუშაობას კურკუკულუმების სრულყოფისთვის და იზიარებენ კათედრის წევრების გამოცდილებას. გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, სასწავლო ექსკურსიებს, პროექტებს, და სხვადასხვა აქტივობებს. საგანში სახელმწიფო ენა ავტორიზაციის განაცხადის წარდგენის ეტაპზე სკოლას სახელმწიფო ენაში კურიკულუმის ჩარჩოებში შევსებული ჰქონდა მხოლოდ თემის, კონტექტ მაგალითებისა და რესურსების გრაფა. ვიზიტისას კი შედარებით დახვეწილი დოკუმენტაცია იქნა წარმოდგენილი-

V-VI კურიკულუმებში ჩაშენებულია შუალედური მიზანები. კერძოდ, ახალი სასწავლო წლის დასაწყისისთვის გაწერილი აქვთ 2-2 კომპლექსური დავალება სავალდებულო სამიზნე ცნებების და სარეკომენდაციო თემების (დაწყებით საფეხურზე) მიხედვითნსწავლებელებმა გასაუბრებისას აღწერეს მუშაობის ეტაპები და აქვს მზაობა, რომ სამომავლოდაც იმუშავოს შუალედური მიზნებით. დაწყებითი კლასების კურიკულუმი წარმოდგენილია სხვადასხვა დიზაინით. მასწავლებლებმა გასაუბრებისას დააზუსტეს, რომ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოს ელოდებოდნენ 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე და აუცილებლად გადაიტანენ ახალ ჩარჩოში.

სკოლაში ხდება კურუკულუმის გაზიარება სხვადასხვა ფორმით ხდება სასკოლო საზოგადოებისთვის. მაგ: მშობელთა კრებებზე, ონლაინ პლათფორმებზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4.კათედრებთან ინტერვიუებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ხდება კურუკულუმების გაზიარება ჯერ კათედრაზე, მოგვიანებით კი აცნობენ მშობელთა კრებებზე და ასევე ონლაინ ჯგუფებში. კურუკულუმის შესახებ ინფორმაციას.კურიკულუმის ეტაპობრივად მშობლებისთვის გაზიარების მიზნით აქვთ მშობლის ბარათებიც.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სკოლის 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის დაწყებითი საფეხურის კლასების კურიკულუმი;
- კათედრების სხდომის ოქმი ;

- ხარისხის მართვისა და განვითარების ჯგუფის დებულება
- კომპლექსური დავალების ბარათები (ბუნებისმეტყველება I-IV; V-VI)
- დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურუკულუმები (ბუნებისმეტყველება I-IV; V-VI)
- დაწყებითი საფეხურის სგნობრივი კურიკულუმები
- კომპლექსური დავალებები სხვადასხვა საგანში

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმივსას მთავარი მიზანია, რომ სასწავლო პროცესი იყოს მოსწავლეზე ორიენტირებული. ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი, კოგნიტური და ინდივიდუალური თავისებურებები. წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვალისწიანებულია მოსწავლეთა ინტერესები, ორიენტირებულია მოსწავლეზე და დაგეგმილია მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე. მასწავლებლებმა ისაუბრეს რომ წინარე გამოცდილებას ყოველთვის ითვალისწინებენ და მაქსიმალურად ცდილობენ მოარგონ თავიანთ

საკლასო ოთახებს, მაგალითად, ბუნებისმეტყველების მასწავლებელმა გაიხსენა, რომ ახალ კურუკულუმში არ შეიტანა კომლექსური დავალება „ხილის ელემენტი“, რადგან რესურსები არ აღმოჩდა ხელმისაწვდომი ყველა მოსწავლისთვის. სასწავლო პროცესში სკოლის პედაგოგები მოსწავლეებს სთავაზობენ სხადასხვა აქტივობებს, კომპლექსურ დავალებებს, რომლებზეც მოსწავლეები ძირითადად სასკოლო სივრცეში მუშაობენ (გათვალისწინებულია ასაკობრივი თავისებურებები) აქცენტი კეთდება კეთებით სწავლებაზე, რაც ხელს უწყობს საკითხის თუ თემის სირღმისეულ შესწავლას და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებზე გასვლას სასწავლო პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.სკოლის მიერ წარმოდგენილ კურუკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, ისინი ხელს უწყობს შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, ანალიზის, შედარების , ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების უნარების განვითარებას და მიემართება გრძელვადიანი მიზნებისკენ. სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოხდეს როგორც ცოდნის მიღება არამედ ამ უნარების განვითერებას. ამის მტკიცებულებად სოლამ წარმოადგინა განხორციელებული პროექტები და მოსწავლეების მიერ შესრულებული დავალებები. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ადასტურებს რომ კურუკულუმი მიმართულია ერივნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიანი მიზნებისკენ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარში სკოლა აღნიშნავს რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესის დაგეგმისას ითვალისწინებენ , თითოეული მოსწავლის ან მოსწავლეთა ჯგუფის, საჭიროებებს, უნარებს, ინტერესის სფეროს და შესაძლებლობებს. მასწავლებელი სწავლა-სწავლების პროცესში ცვლის სწავლის ტემპს, მეთოდებს, აქტივობებს, სტრატეგიებს, მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების, მიხედვით. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით იგეგმება კომპლექსურ დავალებაზე მუშაობაც. დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპზე სკოლა ითვალისწინებს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის ინკლუზიურ მიდგომებს და საჭიროებებს. სკოლაში მიმდინარეობს მოსწავლეთა ქცევის, პროგრესის მუდმივი დაკვირვება და შეფასება. ეს ხელს უწყობს პედაგოგებს შეიმუშაონ მოსწავლეზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. პროცესში გათვალისწინებულია მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის და რეკომენდაციები. დაწყებითი კლასების კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ საჭიროების შემთხვევაში, ქმნიან კომპლექსური დავალებების მოდიფიცირებულ ვერსიებს სსსმ მოსწავლეებისთვის. ინტერვიუების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ცდილობენ მოსწავლეებს მისცენ არჩევანის შესაძლებოლობა დავალების შესრულებისას. მაგ: დახატონ თუ გამოძერწონ - მოსწავლეებს აქვთ არჩევანი თუ რა ფორმით წარმოადგინონ დავალება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4.კათედრის წარმომადგენლებმა წარმოადგინეს როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები V-VI კლასისთვის . მათ აღნიშნეს რომ სასწავლო წლის დასაწყისში, წინა წლის გამოცდილების საფუძველზე შეიმუშავებენ და კათედრაზე განიხილავენ განმსაზღვრელი შეფასების სქემებსა და ინდიკატორებს (V-VI კლ). განმსაზღვრელი შეფასების სქემების განხილვაში ჩართული ყავთ მოსწავლეებიც. I-IV კლასების მასწავლებლებთნ ინტერვიების დროს გამოიკვეთა რომ გაკვეთილზე იყენებენ განმავითარებელი შეფასების ზეპირ და წერილობით კომენტარებს,

განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. შემუშავე4ბული კომპლექსური დავალებები ფასდება განმავითარებელი შეფასებით. მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ეფუძნება სტანდარტით განსაზღვრულ თემის ინდიკატორებს, ხოლო განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეფუძნება სამიზნე ცნებას და ამ ცნების მკვიდრ წარმოდგენებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამცდილების ანალიზი, მასწავლებლებმა გაიხსენეს რომ შეიტანეს ცვლილებები (ზოგადად შეაქვთ ცვლილებები) და მოსწავლეებს დავალებებს აღარ სთავაზობენ ისეთი ფორმით, რომელმაც არსებული გამოცდილებით არ დააინტერესა ისინი, ან არ რაიმე ფორმით არ შეესაბამებოდა მოსწავლის განვითარების დონეს. როგორც კათედრის წევრებმა აღნიშნეს 2023-2024 სასწავლო წლისთვის გეგმავენ იმ კომპლექსურების შეტანას კურუკულუმში, რომელმაც მათი დაკვირვებით კარაგად იმუშავა და ხელი შეუწყო მოსწავლეთა ჩართულობას და დაინტერესებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურუკულუმები
განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

წარმოდგენილი ფოტომასალა (ბუნებისმეტყველება, დაწყებითი საფეხური);

მოდიფიცირებული კომლექსური დავალების მატრიცა

- სკოლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;
- სკოლის სასკოლო პროექტები
- სკოლის მასწავლებლთა პორტფოლიო;

- ინდ. გეგმის ნიმუში
- ინკლუზიური განათლების კონცეფცია და გეგმა
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.

თვითშეფასების კითხვარი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. პედაგოგები მოსწავლეებს სთავაზობენ მრავალფეროვან აქტივობებს, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობის ზრდას, ამას ადასტურებს წარმოდგენილი მრავალფეროვანი აქტივობების ამსახველი ფოტომასალა. ამავე დროს კათედრის წევრებს აქვთ პროექტებზე მუშაობის გამოცდილება, რაც ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში მოსწავლეთა ჩართულობას. აღსანიშნავია კურუკულუმში წარმოდგენილი შუალედური სასწავლო მიზნები, რომელიც ხელს უწყობს როგორც მოსწავლის მოტივაციის ასევე აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას.

   ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ ახალი მასალის მიწოდებისას ყოველთვის ხდება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. საგაკვეთილო პროცესში ხშირად იყენებენ ისეთ აქტივობებს, როგორიცაა: შესასვლელი ბილეთები, მოსწავლეები პასუხობენ კითხვებს რომელიც ეხება წინარე ცოდნას. იყენებენ ასოციაციურ რუკებს და სხვა.

   ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეებს პედაგოგები სთავაზობენ სტრატეგიებს, რაც დაეხმარებათ მასალის უკეთ გაგებაში და გააზრებაში.გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნენ , რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლი გეგმის

თანახმად ეფექტიანი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მეტაკოგნიტური სტრატეგიების გააზრებასა და გაცნობიერებაზე, ძირითადი აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. დაწყებით საფეხურზე, სასწავლო პროცესი მოსწავლეთა ინდივიდუალურ გამოცდილებაზე, მათ ინტერესებსა და ცნობისმოყვარეობაზე დაყრდნობით მიმდინარეობს მსჯელობისა და დისკუსიის სახით. ხშირად იყენებენ ასოცოაციურ რუკებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორაზე ამას ადასტურებს დაწყებითი კლასების კათედრის მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები. სკოლას დაწყებით საფეხურზე აქვს სასწავლო პროექტების დაგეგმვის პრაქტიკა და გამოცდილება, რაც ასევე დასტურია იმისა რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ამის დამადასტურებელია სკოლის მიერ წარმოდგენილი ფოტო მასალა , სადაც ასახულია მოსწავლეთა ნამუშევრები., სკოლის დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა სხვადასხვა მიმართულებით განვითარებაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. სკოლაში დაწყებითების კათედრას აქვს ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვისა და განხორციელების გამოცდლება.სხვადასხვა საგანში დავალებების შესრულებისას ხშირად ხდება ინტეგრირება. მაგალითად ბუნებისმეტყველება ხელოვნებასთან. მაგალითად, როცა ქმნიან კომიქსს, პოსტერს, რეკლამას, ბუკლეტს, დიორამას, წიგნი, წერილს, ერთმანეთს კარგად უკავშირებენ ლიტერატურის, ბუნებისმცოდნეონის და ხელოვნების გაკვეთილებზე მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას. სწავლა-სწავლების პროცესი ისეა დაგეგმილი რომ მოსწავლეს შეეძლოს ცოდნის ტრანსფერი. ცოდნისა და უნარების რეალიზება რეალურ ცხოვრებაში, ამ მიმართულებით. მაგალითად, III კლასში ბუნებისმეტყველებაში

განხორციელებულმა კომპლექსურმა დავალებამ „როგორ დავეხმაროთ ნიკოს“ მასწავლებელს მისცა, ოთხი საგნის(ბუნებისმეტყველება, ქართული ენა და ლიტერატურა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება და კომპიუტერული ტექნოლოგიები) ინტეგრირების საშუალება. მითითებულ საგნებში მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების გაერთიანებით მოსწავლეებმა შეძლეს საბოლოო შემოქმედებითი პროდუქტის(პოსტერის) შექმნა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია; (დრაფტ-ვერსია)
- დაწყებითი კლასების კურიკულუმი;
- დაწყებითი კლასების (ოთხწლედის) ოქმი;
- მასწავლებლთა პორტფოლიოები;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების გეგმა;
- ინდივიდუალური გემის ნიმუში ქართული (დამატებით წარმოდგენილი)
- პროექტები
- დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურუკულუმები (ბუნებისმეტყველება I-IV; V-VI)
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- წარმოდგენილი ფოტომასალა (ბუნებისმეტყველება - დაწყებითი საფეხური)
- თვითშეფასების კითხვარი
- პროექტი: დაიცავი გარემო;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. ამის დასტური ასევე არის სკოლის მიერ წარმოდგენილი კურუკულუმები, კომპლექსური დავალების ბარათები და ის აქტივობები, რომელსაც სკოლა ახორციელებს. ჩვენი დაკვირვებით, სასწავლო პროცესი ეფუძნება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას და უზრუნველყოფს თითეულ თემაში წარმოდგენილი სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე, კომპლექსური დავალება მიემართება გრძელვადიანი მიზნისკენ. ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საკვანძო კითხვებს, გამოყენებულ რესურსებს, მასალებს შორის. კომპლექსური დავალებების შეფასების კრიტერიუმები შესაბამისობაშია ცნებებთან და ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლაში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პედაგოგები და სკოლის თანამშრომლები ზრუნავენ მოსწავლეთა როგორც პიროვნულ, ისე ფსიქო-ემოციურ განვითარებაზე და ეს ფაქტორები გათვალისწინებულია კურუკულუმის შედგენისას. როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს შესრულებული სამუშაოების წარდგენის დროს მოსწავლეები იყენებენ უთიერთშეფასების რუბრიკებს, (პრეზენტაცია, ნაშრომის წარდგენა) ეს პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეთა ფსიქო -სოციალურ განვითარებას, ასევე უნდა აღინიშნოს ის რომ სკოლა როგორც ადგილზე ვიზიტის დროს, ისე ექსპერტებტან ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლა ნამდვილად ზრუნავს მშვიდი და ჯანსარი გარემოს შესაქმნელად. ინტერვიუების პროცესში წარმოჩინდა აქტივობები, რომელიც ისეა დაგეგმილი რომ მოსწავლეები ერთმანეთს მხარს უჭერენ და საჭიროების შემთხვევაში ეხმარებიან კიდეც,

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. წარმოდგენილი კურუკულუმებში ჩანს რომ . შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე ამის დასტური არის ინტერვიუების დროს გამოკვეთილი გამოცდილებაც, რომელიც პედაგოგებმა ამ მიმართულებით გაგვიზიარეს. მათი პრაქტიკიდან ჩანს, რომ დაწყებით საფეხურზე სასკოლო კურიკულუმის აგებისას იყენებენ ისეთ მეთოდებს და აქტივობებს, რომლებიც გულისხმობს თეორიული ცოდნის მიწოდებასა და მის პრაქტიკულ გამოყენებას.

წარმოდგენილი აქტივობები, ფოტომასალა და ის მრავალფეროვანი სტრატეგიები რაზეც მასწავლებლებმა ისაუბრეს ნამდვილად არის მტკიცებულება იმისა რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში ჩატარებული ინტერვიუებისა და მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების, ასევე კომპლექსური დავალების ბარათების მიხედვით სკოლა ადასტურებს რომ იმ საგნებში, რომელიც ისწავლება დაწყებით საფეხურზე დაცულია შეფასების ძირითადი პრინციპები. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ შეფასების რუბრიკებს მოსწავლეებს წინდაწინ აცნობენ და მათ წინასწარ იციან ის მოთხოვნები, რომელთა მიხედვითაც შეფასდება მათი ნაშრომი. შეფასება ვალიდურია - შესაბამისობაშია მიზნებთან. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის. ამ ეტაპზე შექმნილი აქვთ შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომლებიც არის ვალიდური, სანდო და ობიექტური. სკოლის ელექტრონული ჟურნალი კი იძლევა იმის საშუალებას, რომ მშობლებს ჰქონდეთ წვდომა შვილების აკადემიურ მოსწრებასთან დაკავშირებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. სკოლაში მოქმედებს ვერიფიკაციის მექანიზმი, მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების შეფასება საგნობრივ სტანდარტთან მიმართებაში ხდება. დაწყებითი კლასების კათედრის წევრებს შექნილი აქვთ შეფასების რუბრიკები. მოსწავლეების მიერ წარმოდგენილ პრეზენტაციებს, წერით ნამუშევრებს, პროექტებს აფასებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებით. სკოლაში შემუშავებული აქვთ შემაჯამებელი წერის ვერიფიკაციის მექანიზმი, როგორც სკოლის თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ ხშირად აქვთ სკოლაში შემთხვევები, როდესაც მოსწავლეს ან მშობელს არ აკმაყოფილებს შემაჯამებელ დავალებაში მიღებული ქულა და საჭირო ხდება მასწავლებლის მიერ დაწერილი ქულის გადამოწმება. ამ თვალსაზრისით სკოლაში მოქმედ კათედრებზე შეიმუშავეს შემაჯამებელი დავალების ვერიფიკაციის ფორმის ერთ-ერთი ვარიანტი, რომელიც დაეხმარება მასწავლებელს დაიცვას თავისი პოზიცია, თავისი დაწერილი შეფასება, ხოლო მშობელს მისცემს საშუალებას, იხილოს თავისი შვილის ნაშრომი და დარწმუნდეს მასწავლებლის დაწერილი შეფასების სანდოობაში და სამართლიანობაში.

თვითსეფასების კითხვარიდან ასევე ჩანს რომ სამომავლოდ სკოლა გეგმავს ჯიპრაიდის დიაგნოსტიკური შეფასების პრაქტიკის დანერგვა, რომელიც ჩატარდება წელიწადში 2-ჯერ, სემესტრის ბოლოს, რაც დაეხმარებათ სწორად შევარჩიონ სამომავლოდ, მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესებაზე ორიენტირებული ეფექტური სტრატეგიები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6.სკოლა შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს, (შემაჯამებელი წერის ანალიზები, ციფრობრივი ანგარიშები, კომპლექსური დავალების ნიმუშები) მტკიცებულების სახით ინახავს 3 წლის ვადით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;
  არაფორმალური აქტივობების ამსახველი დოკუმენტაცია/ფოტომასალა;
- სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებლის სადამრიგებლო პროგრამა
- დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურუკულუმები (ბუნებისმეტყველება I-IV; V-VI)
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები(ბუნებისმეტყველება I-IV; V-VI);
- ვერიფიკაციის მექანიზმი. (ადგილზე)
- თვითშეფასების კითხვარი;

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მასწავლებლებმა ინტერვიუების დროს აღნიშნეს, ისინისაჭიროების შემთხვევაში, ყოველთვის უწევენ დამატებით კონსულტაციას მოსწავლეებს. დაწყებითი საფეხურის პედაგოგებმა აღნიშნეს რომ როცა მოსწავლე აცდენს გაკვეთილს ცდილობენ არ ახსნან ახალი მასალა ან ისე დასვან გაკვეთილზე კითხვები იმ მასალიდან, რომ კონკრეტული მოსწავლე

რომელიც არ ესწრებოდა იმ გაკვეთილს, მისთვისაც საინტერესო იყოს და შეძლოს საგაკვეთილო პროცესში ჩართულობა. ეს და სხვა მაგალითები მოწმობს, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მიმღეობითი და მხარდაჭერი გარემო, რაც შეეხება,მასწავლებელებს შორის: თანამშრომლობითი ურთიერთობებს, გამოცდილების გაზიარებასა, და გამოწვევებისადმი გუნდურ მიდგომას, ყველა ეს მიმართულება პრიორიტეტია მათი საქმიანობის პროცესში. ისინი ერთად ერთობლივი ძალისხმევით ზრუნავენ მოსწავლეთა აკადემიურ და პიროვნულ წინსვლაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლაში შექმნილია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო. სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისას გათვალისწინებულია, რომ კომპლექსური დავალებებ, სხვხადასხვა აქტივიბები, იმგვარად შემუშავდეს, რომ ხელი შეუწყოს მოსწავლეთა თანამშრომლობას, პოზიტიური დამოკიდებულების განმტკიცებას. ასევე აღსანიშნავია, რომ ჯგუფური მუშაობისას მოსწავლეები ერთმანეთის ნამუშევრებს აფასებენ. სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებელი ზრუნავს საგაკვეთილო ოთახში უსაფრთხო გარემოს შექმნაზე, ცდილობს ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში. მოსწავლეებს შეუძლიათ თვითონ გააკეთონ არჩევანი დავალების შესრულებისას - რა ფორმით წარმოადგინონ დავალება. გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები და უნარები. გასაუბრებაზე გამოიკვეთა მასწავლებლების განსაკუთრეული ყურადრება და ზრუნვა ამ მიმართულებით. ასევე როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს მოსწავლეებს შეუძლიათ ყოველთვის მიმართონ დახმარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლაში ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა,რომ არის პედაგოგებს შორის შორის თანამშრომლობის მაღალი კულტურა, ისინი კურიკულუმის შექმნისა და განვითარების პროცესში ხშირად იკრიბებიან კათედრაზე, მსჯელობენ და უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ხდება გაკვეთილზებზე ურთიერთდასწრებაც. ითვალისწინებენ კოლეგისგან მიღებულ რჩევებს. ეს კი ხელს უწყობს სწავლის ხარისხის ამაღლებას და სასწავლო პროცესის უკეთ დაგეგმვას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სკოლა და თითეული მასწავლებელი ზრუნავს პოზიტიური სასკოლო გარემოს შექმნაზე, რაც ნამდვილად შეიმჩნევა. სკოლასი შექმნილია კეთილმოწყობილი გარემო, რაც პოზოტიურად განწყობის ხელისშემწყობია. შესამჩნევია თბილი, კეთილგანწყობილი ურთიერთობაა პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის; როგორც მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს მოსწავლეები თამამად გამოთქვამენ მოსაზრებას, შეხედულებას, მონაწილეობენ პროექტების იდეების, აქტივობების შერჩევა-დაგეგმვაში; არ ეშინიათ შეცდომების დაშვებისა; ზრუნავენ ერთმანეთზე; პატივს სცემენ სხვების აზრს; ყოველივე ეს კი სასკოლო საზოგადოების მუშაობის, ერთიანი ხედვისა და კომუნიკაციის შედეგია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის პედაგოგიური საბჭოს ოქმი
- მასწავლებლებთან ინტერვიუ;
- თვითშეფასების კითხვარი
- მოდიფიცირებული კომპექსური დავალების მატრიცის ნიმუში

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით ჩანს , რომ სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. როგორც ინტერვიუების დროს სკოლის პედაგოგებმა აღნიშნეს მოხდება პროცესზე დაკვირვება, მთელი წლის განმავლობაში - მოახდენენ მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებას ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში, იქნება პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება. მომავალი წლის კურუკულუმში გაითვალისწინებენ იმ სუსტ და ძლიერ მხარეებს რაც გამოიკვეთება კვლევის და დაკვირვების შედეგად.

   ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. როგორც სკოლის თვითსეფასების კითხვარიდან ჩანს, სკოლას აქვს სწორი ხედვა, მათ გააზრებული აქვთ რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერას, სკოლა გეგმავს რომ შეფასების სისტემა

გახადოს გამჭვირვალე და ვალიდური, რაც მშობლის როლს კიდევ უფრო გააქტიურებს ამ პროცესში.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. ახალი 2023-2024 სასწავლო წლისთვის იგეგმება მონოტორინგისა და შეფასების ვალიდური რუბრიკების შექმნა, რაც ხელს შეუწყობს არსებული პრობლემების გამოგკვეთას და გადაჭრის გზების ძიებას.

   ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- დაწყებითი კლასების კათედრის ოქმი;
- დაწყებითი კლასების კათედრის ანგარიში 2021-2022 სასწავლო წლის ბოლ
- თვითსეფასების კითხვარი
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ რომ სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს და ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს (მასწავლებელთა თვითრეფლექსიები, გაკვეთილზე დაკვირვების რუბრიკები)ფასდება მოსწავლის ზოგადი მიღწევები: რა შეასრულა, როგორ შეასრულა, რა უნარ-ჩვევები გამოიმუშავა.

   ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. როგორც კათედრის წევრებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, მათ გათავისებული და გააზრებული აქვთ რომ სასწავლო პროცესის შეფასება უნდა გახორციელდეს სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით. კერძოდ, რამდენად ეხმარება კურიკულუმი მოსწავლეთა და მასწავლებელთა შინაგანი მოტივაციის ამაღლებას; რამდენად უწყობს ხელს ცოდნის კონსტრუირებას; რამდენადაა აგებული მოსწავლეთათვის ნაცნობი კონტექსტების შესაბამისი თემებით; რამდენადაა გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული; ხელს უწყობს თუ არა მოსწავლის კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნების განვითარებას;
   როგორც მასწავლებელთა ინტერვიუდან და სკოლის თვითსეფასების კითხვარიდან ვგებულობთ სასკოლო საზოგადოება მრავალფეროვნებით არის გამორჩეული: სკოლაში არიან განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიური აღმსარებლობის, სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან გამოსული, მოწყვლადი ფსიქოემოციური ფონის მქონე მოსწავლეები, რომლებსაც სასწავლო პროცესში ბევრი პრობლემა ხვდებათ. კლასის ყველა დამრიგებელი აგროვებს ინფორმაციას ყველა ასეთი შემთხვევის შესახებ და აწვდის მონაცემებს სკოლლას. შემდგომ ყველა ამ მონაცემის გათვალისწინებით იგეგმება საწავლო პროცესი. სკოლა ზრუნავს რომ ყველა მოსწავლე ჩააყენოს თანაბარ პირობებში სასკოლო გარემოში.

   ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. როგორც სკოლის თვითსეფასების კითხვარიდან ვგებულობთ სკოლას გეგმავს რომ შეფასების პროცესში მოსწავლეებიც ჩაერთონ ისე, რომ მათთვის საინტერესო და სახალისო აქტივობა სასკოლო საზოგადოებისთვისაც სასარგებლო გახდეს.

ამის დიდი გამოცდილება ჯერ სკოლას არ ქვს, თუმცა იგეგმება შეგროვების გამოკითხების და დაკვირვეება რათა გათვალისწინებული იქნეს სასკოლო საზოგადოების აზრი სხვადასხვა თემებთან მიმართებაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. მოსწავლეთა შეფასებისას გათვალისწინებულია ისეთი ფაქტორები როგორიცაა აკადემიური, სააზროვნო და სოციალური უნარები. შეფასებისას იყენებენ როგორც განმსაზღვრელ ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. სკოლას აქვს ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე მორგებული შეფასების სისტემა. 2023-2024 სასწავლო წლისთვის იგეგმება შეფასება გახდეს უფრო მიზნობრივი.

   დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თვითშეფასების კითხვარი
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (ბუნებისმეტყველება I-IV; V-VI)
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები (ბუნებისმეტყველება I-IV; V-VI)
- ვერიფიკაცია (ადგილზე)
- სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- სკოლის 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო პროექტი

შეფასება:

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია
2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ, რომ კურიკულუმის განვითარების მიზნით კათედრებზე მიმდინარეობს მუშაობა საჭიროებათა პაკეტის შესაქმნელად. შექმნის საჭიროებათა პაკეტს, გამოიყენებს გამოცდილებას პროცესის გასაუმჯობესებლად. 2023-2024 სასწ. წლიდან სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. ახალი სასწავლო წლისათვის სასკოლო კურიკულუმსა და სამოქმედო გეგმაში ასახავენ მისი განვითარებისა და მხარდაჭერის რეკომენდაციებს.

   ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. როგორც მასწავლებლებთან გასაუბრებით და თვითსეფასების კითხვარიდან ირკვევა კურუკულუმის გადამუშავება ეფუძნება წინარე გამოცდილებას და მონიტორინგს. რადგან სწორედ მონიტორინგი და შეფასება აჩვენებს, თუ რამდენად მოხდა გრძელვადიან მიზნებზე გასვლა. მასწავლებლები მიღებულ გამოცდილებას, მონიტორინგსა და შეფასების შედეგები გაითვალისწინეს 2023-2024 სასწავლო წლისათვის საგნობრივი კურიკულუმების შედგენისას.

ასევე გათვალისწინებული იქნა წინა სასწავლო წელს, დაწყებით საფეხურზე მიღებული შედეგები და საგაკვეთილო პროცესებზე დამსწრე ქოუჩების უკუკავშირები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;
- სასკოლო სასწავლო პროექტი;
- კომპლექსური დავალებები (მასწავლებელთა პორტფოლიოები)

თვითსეფასების კითხვარი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.საბაზო საფეხურის მასწავლებლების მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში ყველა სავალდებულო ველი შევსებულია. როგორც სკოლაში მოქმედი კათედრების წევრებმა აღნიშნეს, ისინი აგრძელებენ თანამშრომლობას და კურუკულუმის სრულყოფაზე მუშაობას ურთიერთანმაშრომლობით და ერთმანეთის გამოცდილების გაზიარებით.

მასწავლებლებთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა , რომ კარგად იცნობენ მესამე თაობის ესგ-ს და აცნობიერებენ კურიკულუმის თითოეული კომპონენტი რას მოიაზრებს, რა კავშირია მათ შორის, რა არის განსაზღვრული სტანდარტით და რისი შეცვლა შეუძლიათ საჭიროების შემთხვევაში. გასაუბრებისას მასწავლებლებმა ჩამოაყალიბეს სწორი ხედვა, თუ როგორ უნდა წარმართონ სასწავლო პროცესი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესში ჩართულია შესაბამისი კათედრის ყველა წევრი. 2023-2024 კურიკულუმის შექმნისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და შესაძლებლობები. როგორც ინტერვიუებიდან გამოჩნდა პირველ რიგში, მოხდა მოსწავლის ასაკობრივი დონისა და

აკადემიური უნარების გათვალისწინება, ასევე ინტერესის სფეროები,შემდეგ კი შეიმუშავეს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობების, დავალებები. სკოლის საბაზო საფეხურზე ერთ-ერთი ძლიერ მხარეა ურთიერთთანამშრომლობითი კულტურა, სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება და მათი ნაყოფიერი ჩართულობა. როგორც პედაგოგებმა ინტერვიუების დროს აღნიშნეს სასკოლო კურუკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესებიც. ასევე აქცენტი გააკეთეს იმაზეც, რომ დავალებების დიდი ნაწილი ძირითადად კლასში სრულდება და შედარებით მცირე ნაწილი აქვთ საშინაო დავალებად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. კურუკულუმის შექმნაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. კურიკულუმის შემუშავების დროს კათედრებზე ხდება გამოცდილების გაზიარება, საჭიროების გაანალიზება, შემდეგ კი თანმშრომლობის საფუძველზე ხდება არსებული გამოცდილების,სასკოლო საზოგადოების მზაობის, წინარე ცოდნის, შესაძლებლობების გათვალისწინებით მოახდინეს შესაბამისი მოდიფიცირება. სკოლაში საბაზო საფეხური კურიკულუმის განვითარება არის პროცესი და ამ პროცესში კათედრის წევრებს აქვთ მზაობა, მიმღებლობა გაითვალისწინონ კოლეგების აზრი და გამოცდილება კურუკულუმის სრულყოფისთვის, სკოლაში ვიზიტის დროს, სასწავლო წლის დასაწყისში, კათედრის წევრები აგრძელებენ მუშაობას კურკუკულუმების სრულყოფისთვის და იზიარებენ კათედრის წევრების გამოცდილებას. გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, სასწავლო ექსკურსიებს, პროექტებს, და სხვადასხვა აქტივობებს. საგანში სახელმწიფო ენა ავტორიზაციის განაცხადის წარდგენის ეტაპზე სკოლას სახელმწიფო ენაში კურიკულუმის ჩარჩოებში შევსებული ჰქონდა მხოლოდ თემის, კონტექტ მაგალითებისა და რესურსების გრაფა. ვიზიტისას კი შედარებით დახვეწილი დოკუმენტაცია იქნა წარმოდგენილი- სკოლაში ხდება კურუკულუმის გაზიარება სხვადასხვა ფორმით ხდება სასკოლო საზოგადოებისთვის. მაგ: მშობელთა კრებებზე, ონლაინ პლათფორმებზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4.კათედრებთან ინტერვიუებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ხდება კურუკულუმების გაზიარება ჯერ კათედრაზე, მოგვიანებით კი აცნობენ მშობელთა კრებებზე და ასევე ონლაინ ჯგუფებში. კურუკულუმის შესახებ ინფორმაციას.კურიკულუმის ეტაპობრივად მშობლებისთვის გაზიარების მიზნით აქვთ მშობლის ბარათებიც.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სკოლის 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის საბაზო საფეხურის კლასების კურიკულუმი;
- კათედრების სხდომის ოქმი ;
- ხარისხის მართვისა და განვითარების ჯგუფის დებულება
- კომპლექსური დავალების ბარათები
- საბაზო საფეხურის სგნობრივი კურიკულუმები
- კომპლექსური დავალებები სხვადასხვა საგანში

2.2.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმივსას მთავარი მიზანია, რომ სასწავლო პროცესი იყოს მოსწავლეზე ორიენტირებული. ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი, კოგნიტური და ინდივიდუალური თავისებურებები. წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვალისწიანებულია მოსწავლეთა ინტერესები, ორიენტირებულია მოსწავლეზე და დაგეგმილია მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე. მასწავლებლებმა ისაუბრეს რომ წინარე გამოცდილებას ყოველთვის ითვალისწინებენ და მაქსიმალურად ცდილობენ მოარგონ თავიანთ საკლასო ოთახებს, აქცენტი კეთდება კეთებით სწავლებაზე, რაც ხელს უწყობს საკითხის თუ თემის სირღმისეულ შესწავლას და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებზე გასვლას სასწავლო პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურუკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, ისინი ხელს უწყობს შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, ანალიზის, შედარების , ცოდნათა ორგანიზებისა და

ურთიერთდაკავშირების უნარების განვითარებას და მიემართება გრძელვადიანი მიზნებისკენ. სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოხდეს როგორც ცოდნის მიღება არამედ ამ უნარების განვითერებას. ამის მტკიცებულებად სოლამ წარმოადგინა განხორციელებული პროექტები და მოსწავლეების მიერ შესრულებული დავალებები. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ადასტურებს რომ კურუკულუმი მიმართულია ერივნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიანი მიზნებისკენ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარში სკოლა აღნიშნავს რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესის დაგეგმისას ითვალისწინებენ , თითოეული მოსწავლის ან მოსწავლეთა ჯგუფის, საჭიროებებს, უნარებს, ინტერესის სფეროს და შესაძლებლობებს. მასწავლებელი სწავლა-სწავლების პროცესში ცვლის სწავლის ტემპს, მეთოდებს, აქტივობებს, სტრატეგიებს, მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების, მიხედვით. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით იგეგმება კომპლექსურ დავალებაზე მუშაობაც. საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპზე სკოლა ითვალისწინებს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის ინკლუზიურ მიდგომებს და საჭიროებებს. სკოლაში მიმდინარეობს მოსწავლეთა ქცევის, პროგრესის მუდმივი დაკვირვება და შეფასება. ეს ხელს უწყობს პედაგოგებს შეიმუშაონ მოსწავლეზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. პროცესში გათვალისწინებულია მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის და რეკომენდაციები. საბაზო საფეხურზე კათედრების წევრებმა აღნიშნეს, რომ საჭიროების შემთხვევაში, ქმნიან კომპლექსური დავალებების მოდიფიცირებულ ვერსიებს სსსმ მოსწავლეებისთვის. ინტერვიუების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ცდილობენ მოსწავლეებს მისცენ არჩევანის შესაძლებოლობა დავალების შესრულებისას. მაგ: დახატონ თუ გამოძერწონ - მოსწავლეებს აქვთ არჩევანი თუ რა ფორმით წარმოადგინონ დავალება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. კათედრის წარმომადგენლებმა წარმოადგინეს როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი შეფასების ფორმები . მათ აღნიშნეს რომ სასწავლო წლის დასაწყისში, წინა წლის გამოცდილების საფუძველზე შეიმუშავებენ და კათედრაზე განიხილავენ განმსაზღვრელი შეფასების სქემებსა და ინდიკატორებს. განმსაზღვრელი შეფასების სქემების განხილვაში ჩართული ყავთ მოსწავლეებიც. საბაზო საფეხურის მასწავლებლებთნ ინტერვიუების დროს გამოიკვეთა რომ გაკვეთილზე იყენებენ განმავითარებელი შეფასების ზეპირ და წერილობით კომენტარებს, განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. შემუშავე4ბული კომპლექსური დავალებები ფასდება განმავითარებელი შეფასებით. მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ეფუძნება სტანდარტით განსაზღვრულ თემის ინდიკატორებს, ხოლო განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეფუძნება სამიზნე ცნებას და ამ ცნების მკვიდრ წარმოდგენებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამცდილების ანალიზი, მასწავლებლებმა გაიხსენეს რომ შეიტანეს ცვლილებები (ზოგადად შეაქვთ ცვლილებები) და მოსწავლეებს დავალებებს აღარ სთავაზობენ ისეთი ფორმით, რომელმაც არსებული გამოცდილებით არ დააინტერესა ისინი, ან არ რაიმე ფორმით არ შეესაბამებოდა მოსწავლის განვითარების დონეს. როგორც კათედრის წევრებმა აღნიშნეს 2023-2024 სასწავლო წლისთვის გეგმავენ იმ კომპლექსურების შეტანას კურუკულუმში, რომელმაც მათი დაკვირვებით კარაგად იმუშავა და ხელი შეუწყო მოსწავლეთა ჩართულობას და დაინტერესებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბაზო საფეხურის საგნობრივი კურუკულუმები

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

წარმოდგენილი ფოტომასალა (შესრულებული დავალებები საბაზო საფეხური);

მოდიფიცირებული კომლექსური დავალების მატრიცა

- სკოლის საბაზო საფეხურის კურიკულუმი;
- სკოლის სასკოლო პროექტები
- სკოლის მასწავლებლთა პორტფოლიო;
- ინდ. გეგმის ნიმუში
- ინკლუზიური განათლების კონცეფცია და გეგმა
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.

თვითშეფასების კითხვარი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 კურიკულუმის განხორციელება

2.2.2 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. პედაგოგები მოსწავლეებს სთავაზობენ მრავალფეროვან აქტივობებს, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობის ზრდას, ამას ადასტურებს წარმოდგენილი მრავალფეროვანი აქტივობების ამსახველი ფოტომასალა. ამავე დროს კათედრის წევრებს აქვთ პროექტებზე მუშაობის გამოცდილება, რაც ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში მოსწავლეთა ჩართულობას. აღსანიშნავია კურუკულუმში წარმოდგენილი შუალედური სასწავლო მიზნები, რომელიც ხელს უწყობს როგორც მოსწავლის მოტივაციის ასევე აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ ახალი მასალის მიწოდებისას ყოველთვის ხდება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. საგაკვეთილო პროცესში ხშირად იყენებენ ისეთ აქტივობებს, როგორიცაა: შესასვლელი ბილეთები, მოსწავლეები პასუხობენ კითხვებს რომელიც ეხება წინარე ცოდნას. იყენებენ ასოციაციურ რუკებს და სხვა.მოწოდებული კურუკულუმის ჩარჩოები იძლევა შესალებლობას დავასკვნათ, რომ ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ძირითად ნაწილში დაფარულია ყველა სამიზნე ცნება VII-XII კლასებში სავალდებულო თემატური ბლოკის ფარგლებში. მასწავლებლები მუშაობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით და აღნიშნავენ რომ მასწავლებლის წიგნიც ეხმარებათ სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპების დანერგვაში. მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას თემატური დაგეგმვისა და კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის კუთხით. კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს. თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. კურიკულუმებში მოცემულია კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც ეყრდნობა წინარე გამოცდილებას, ცხოვრებისეულ სიტუაციებს. წარმოდგენილ თემატურ მატრიცებში აქტივობებიც ისეა დალაგებული, რომ ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. ახალი ცოდნის გადასაცემა მასწავლებელი მუშაობს იმისათვის რომ მოიპოვოს ინფორმაცია თუ რა მიღწევიდ დონეს აჩვენებენ იმისთვის შედეგი იყოს უფრო უკეთესი და მოსწავლეების შემოქმედებითი პროცესებში ჩართვა ეფექტური. მოწოდებული კურიკულუმების პრაქტიკაში დანერგვა თავისთავად არის ცოდნის აგება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. საგნობირივი კურიკულუმები გათვლილია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ყოველი თემა მუშავდება ეტაპობრივად, წინარე ცოდნის გააქტიურებით იწყება კომპლექსური დავალების პირობის გააზრება, ან მისთვის ნაცნობი კონტექსტითა თუ ცხოვრებისეული მაგალითით ეხმარება ახალი ინფორმაციის ძველთან დაკავშირებაში. მასწავლებლებმა ვიზიტის დროს ისაუბრეს, რომ იყენებენ ქვიზებს, ზეპირ გამოკითხვას, ,,გონებრივი იერიშის“ მეთოდებს რათა დადგინდეს წინარე ცოდნასთან მიმართებით მოსწავლეთა მიღწევის დონე და იმის მიხედვით დანერგონ სასწავლო პროცესი, საჭიროების შემთხვევაში ისევ შეჩერდენ გავლილი მასალის განსამტკიცებელი სამუშაოების წარმოებაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3.სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეებს პედაგოგები სთავაზობენ სტრატეგიებს, რაც დაეხმარებათ მასალის უკეთ გაგებაში და გააზრებაში.გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნენ , რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლი გეგმის თანახმად ეფექტიანი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მეტაკოგნიტური სტრატეგიების გააზრებასა და გაცნობიერებაზე, ძირითადი აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. საბაზო საფეხურზე, სასწავლო პროცესი მოსწავლეთა ინდივიდუალურ გამოცდილებაზე, მათ ინტერესებსა და ცნობისმოყვარეობაზე დაყრდნობით მიმდინარეობს მსჯელობისა და დისკუსიის სახით. ხშირად იყენებენ ასოცოაციურ რუკებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორაზე ამას ადასტურებს საბაზო საფეხურის საგნობრივი კათედრების მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები. სკოლას საბაზო საფეხურზე აქვს სასწავლო პროექტების დაგეგმვის პრაქტიკა და გამოცდილება, რაც ასევე დასტურია იმისა რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ამის დამადასტურებელია სკოლის მიერ წარმოდგენილი ფოტო მასალა , სადაც ასახულია მოსწავლეთა ნამუშევრები., სკოლის საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა სხვადასხვა მიმართულებით განვითარებაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. სკოლაში საბაზო საფეხურზე საგნობრივ კათედრებს აქვთ ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვისა და განხორციელების გამოცდლება.სხვადასხვა საგანში დავალებების შესრულებისას ხშირად ხდება ინტეგრირება. პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეტთან და შესაბამისი თემების ფარგლებში ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიია; (დრაფტ-ვერსია)
- საბაზო საფეხურის კურიკულუმი;
- საბაზო საფეხურის საგნობრივი ოქმი;
- მასწავლებლთა პორტფოლიოები;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების გეგმა;
- ინდივიდუალური გემის ნიმუში ქართული (დამატებით წარმოდგენილი)
- პროექტები
- საბაზო საფეხურის ბუნებისმეტყველების კურუკულუმები (ბუნებისმეტყველება I-IV; V-VI)
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- წარმოდგენილი ფოტომასალა
- თვითშეფასების კითხვარი
- პროექტი: დაიცავი გარემო;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. ამის დასტური ასევე არის სკოლის მიერ წარმოდგენილი კურუკულუმები, კომპლექსური დავალების ბარათები და ის აქტივობები, რომელსაც სკოლა ახორციელებს. ჩვენი დაკვირვებით, სასწავლო პროცესი ეფუძნება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას და უზრუნველყოფს თითეულ თემაში წარმოდგენილი სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე, კომპლექსური დავალება მიემართება გრძელვადიანი მიზნისკენ. ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საკვანძო კითხვებს, გამოყენებულ რესურსებს, მასალებს შორის. კომპლექსური დავალებების შეფასების კრიტერიუმები შესაბამისობაშია ცნებებთან და ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.სკოლაში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პედაგოგები და სკოლის თანამშრომლები ზრუნავენ მოსწავლეთა როგორც პიროვნულ, ისე ფსიქო-ემოციურ განვითარებაზე და ეს ფაქტორები გათვალისწინებულია კურუკულუმის შედგენისას. როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს შესრულებული სამუშაოების წარდგენის დროს მოსწავლეები იყენებენ უთიერთშეფასების რუბრიკებს, (პრეზენტაცია, ნაშრომის წარდგენა) ეს პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეთა ფსიქო -სოციალურ განვითარებას, ასევე უნდა აღინიშნოს ის რომ სკოლა როგორც ადგილზე ვიზიტის დროს, ისე ექსპერტებტან ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლა ნამდვილად ზრუნავს მშვიდი და ჯანსარი გარემოს

შესაქმნელად. ინტერვიუების პროცესში წარმოჩინდა აქტივობები, რომელიც ისეა დაგეგმილი რომ მოსწავლეები ერთმანეთს მხარს უჭერენ და საჭიროების შემთხვევაში ეხმარებიან კიდეც,

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. წარმოდგენილი კურუკულუმებში ჩანს რომ . შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე ამის დასტური არის ინტერვიუების დროს გამოკვეთილი გამოცდილებაც, რომელიც პედაგოგებმა ამ მიმართულებით გაგვიზიარეს. მათი პრაქტიკიდან ჩანს, რომ საბაზო საფეხურზე სასკოლო კურიკულუმის აგებისას იყენებენ ისეთ მეთოდებს და აქტივობებს, რომლებიც გულისხმობს თეორიული ცოდნის მიწოდებასა და მის პრაქტიკულ გამოყენებას.

წარმოდგენილი აქტივობები, ფოტომასალა და ის მრავალფეროვანი სტრატეგიები რაზეც მასწავლებლებმა ისაუბრეს ნამდვილად არის მტკიცებულება იმისა რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში ჩატარებული ინტერვიუებისა და მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების, ასევე კომპლექსური დავალების ბარათების მიხედვით სკოლა ადასტურებს რომ იმ საგნებში, რომელიც ისწავლება საბაზო საფეხურზე დაცულია შეფასების ძირითადი პრინციპები. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ შეფასების რუბრიკებს მოსწავლეებს წინდაწინ აცნობენ და მათ წინასწარ იციან ის მოთხოვნები, რომელთა მიხედვითაც შეფასდება მათი ნაშრომი. შეფასება ვალიდურია - შესაბამისობაშია მიზნებთან. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის. ამ ეტაპზე შექმნილი აქვთ შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომლებიც არის ვალიდური, სანდო და ობიექტური. სკოლის ელექტრონული ჟურნალი კი იძლევა იმის საშუალებას, რომ მშობლებს ჰქონდეთ წვდომა შვილების აკადემიურ მოსწრებასთან დაკავშირებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. სკოლაში მოქმედებს ვერიფიკაციის მექანიზმი, მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების შეფასება საგნობრივ სტანდარტთან მიმართებაში ხდება. საბაზო საფეხურის საგნობრივი კათედრის წევრებს შექნილი აქვთ შეფასების რუბრიკები. მოსწავლეების მიერ წარმოდგენილ პრეზენტაციებს, წერით ნამუშევრებს, პროექტებს აფასებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებით. სკოლაში შემუშავებული აქვთ შემაჯამებელი წერის ვერიფიკაციის მექანიზმი, როგორც სკოლის თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ ხშირად აქვთ სკოლაში შემთხვევები, როდესაც მოსწავლეს ან მშობელს არ აკმაყოფილებს შემაჯამებელ დავალებაში მიღებული ქულა და საჭირო ხდება მასწავლებლის მიერ დაწერილი ქულის გადამოწმება. ამ თვალსაზრისით სკოლაში მოქმედ კათედრებზე შეიმუშავეს შემაჯამებელი დავალების ვერიფიკაციის ფორმის ერთ-ერთი ვარიანტი, რომელიც დაეხმარება მასწავლებელს დაიცვას თავისი პოზიცია, თავისი დაწერილი შეფასება, ხოლო მშობელს მისცემს საშუალებას, იხილოს თავისი შვილის ნაშრომი და დარწმუნდეს მასწავლებლის დაწერილი შეფასების სანდოობაში და სამართლიანობაში.

თვითსეფასების კითხვარიდან ასევე ჩანს რომ სამომავლოდ სკოლა გეგმავს ჯიპრაიდის დიაგნოსტიკური შეფასების პრაქტიკის დანერგვა, რომელიც ჩატარდება წელიწადში 2-ჯერ, სემესტრის ბოლოს, რაც დაეხმარებათ სწორად შევარჩიონ სამომავლოდ, მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესებაზე ორიენტირებული ეფექტური სტრატეგიები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6.სკოლა შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს, (შემაჯამებელი წერის ანალიზები, ციფრობრივი ანგარიშები, კომპლექსური დავალების ნიმუშები) მტკიცებულების სახით ინახავს 3 წლის ვადით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საბაზო საფეხურის კურიკულუმი;
  არაფორმალური აქტივობების ამსახველი დოკუმენტაცია/ფოტომასალა;
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

- ვერიფიკაციის მექანიზმი. (ადგილზე)
- თვითშეფასების კითხვარი;

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.მასწავლებლებმა ინტერვიუების დროს აღნიშნეს, ისინი საჭიროების შემთხვევაში, ყოველთვის უწევენ დამატებით კონსულტაციას მოსწავლეებს. საბაზო საფეხურის პედაგოგებმა აღნიშნეს რომ როცა მოსწავლე აცდენს გაკვეთილს ცდილობენ არ ახსნან ახალი მასალა ან ისე დასვან გაკვეთილზე კითხვები იმ მასალიდან, რომ კონკრეტული მოსწავლე რომელიც არ ესწრებოდა იმ გაკვეთილს, მისთვისაც საინტერესო იყოს და შეძლოს საგაკვეთილო პროცესში ჩართულობა. ეს და სხვა მაგალითები მოწმობს, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მიმღეობითი და მხარდაჭერი გარემო, რაც შეეხება,მასწავლებელებს შორის: თანამშრომლობითი ურთიერთობებს, გამოცდილების გაზიარებასა, და გამოწვევებისადმი გუნდურ მიდგომას, ყველა ეს მიმართულება პრიორიტეტია მათი საქმიანობის პროცესში. ისინი ერთად ერთობლივი ძალისხმევით ზრუნავენ მოსწავლეთა აკადემიურ და პიროვნულ წინსვლაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2.სკოლაში შექმნილია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო. სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისას გათვალისწინებულია, რომ კომპლექსური დავალებებ, სხვხადასხვა აქტივიბები, იმგვარად

შემუშავდეს, რომ ხელი შეუწყოს მოსწავლეთა თანამშრომლობას, პოზიტიური დამოკიდებულების განმტკიცებას. ასევე აღსანიშნავია, რომ ჯგუფური მუშაობისას მოსწავლეები ერთმანეთის ნამუშევრებს აფასებენ. სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებელი ზრუნავს საგაკვეთილო ოთახში უსაფრთხო გარემოს შექმნაზე, ცდილობს ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში. მოსწავლეებს შეუძლიათ თვითონ გააკეთონ არჩევანი დავალების შესრულებისას - რა ფორმით წარმოადგინონ დავალება. გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები და უნარები. გასაუბრებაზე გამოიკვეთა მასწავლებლების განსაკუთრეული ყურადრება და ზრუნვა ამ მიმართულებით. ასევე როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს მოსწავლეებს შეუძლიათ ყოველთვის მიმართონ დახმარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3.სკოლაში ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა,რომ არის პედაგოგებს შორის შორის თანამშრომლობის მაღალი კულტურა, ისინი კურიკულუმის შექმნისა და განვითარების პროცესში ხშირად იკრიბებიან კათედრაზე, მსჯელობენ და უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ხდება გაკვეთილზებზე ურთიერთდასწრებაც. ითვალისწინებენ კოლეგისგან მიღებულ რჩევებს. ეს კი ხელს უწყობს სწავლის ხარისხის ამაღლებას და სასწავლო პროცესის უკეთ დაგეგმვას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4.მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სკოლა და თითეული მასწავლებელი ზრუნავს პოზიტიური სასკოლო გარემოს შექმნაზე, რაც ნამდვილად შეიმჩნევა. სკოლასი შექმნილია კეთილმოწყობილი გარემო, რაც პოზოტიურად განწყობის ხელისშემწყობია. შესამჩნევია თბილი, კეთილგანწყობილი ურთიერთობაა პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის; როგორც მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს მოსწავლეები თამამად გამოთქვამენ მოსაზრებას, შეხედულებას, მონაწილეობენ პროექტების იდეების, აქტივობების შერჩევა-დაგეგმვაში; არ ეშინიათ შეცდომების დაშვებისა; ზრუნავენ ერთმანეთზე; პატივს სცემენ სხვების აზრს; ყოველივე ეს კი სასკოლო საზოგადოების მუშაობის, ერთიანი ხედვისა და კომუნიკაციის შედეგია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის პედაგოგიური საბჭოს ოქმი
- მასწავლებლებთან ინტერვიუ;
- თვითშეფასების კითხვარი
- მოდიფიცირებული კომპექსური დავალების მატრიცის ნიმუში

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით ჩანს , რომ სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. როგორც ინტერვიუების დროს სკოლის პედაგოგებმა აღნიშნეს მოხდება პროცესზე დაკვირვება, მთელი წლის განმავლობაში - მოახდენენ მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებას ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში, იქნება პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება. მომავალი წლის კურუკულუმში გაითვალისწინებენ იმ სუსტ და ძლიერ მხარეებს რაც გამოიკვეთება კვლევის და დაკვირვების შედეგად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. როგორც სკოლის თვითსეფასების კითხვარიდან ჩანს, სკოლას აქვს სწორი ხედვა, მათ გააზრებული აქვთ რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერას, სკოლა გეგმავს რომ შეფასების სისტემა გახადოს გამჭვირვალე და ვალიდური, რაც მშობლის როლს კიდევ უფრო გააქტიურებს ამ პროცესში.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3.ახალი 2023-2024 სასწავლო წლისთვის იგეგმება მონოტორინგისა და შეფასების ვალიდური რუბრიკების შექმნა, რაც ხელს შეუწყობს არსებული პრობლემების გამოგკვეთას და გადაჭრის გზების ძიებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- თვითსეფასების კითხვარი
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ რომ სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს და ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს (მასწავლებელთა თვითრეფლექსიები, გაკვეთილზე დაკვირვების რუბრიკები)ფასდება მოსწავლის ზოგადი მიღწევები: რა შეასრულა, როგორ შეასრულა, რა უნარ-ჩვევები გამოიმუშავა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. როგორც კათედრის წევრებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, მათ გათავისებული და გააზრებული აქვთ რომ სასწავლო პროცესის შეფასება უნდა გახორციელდეს სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით. კერძოდ, რამდენად ეხმარება კურიკულუმი მოსწავლეთა და მასწავლებელთა შინაგანი მოტივაციის ამაღლებას; რამდენად უწყობს ხელს ცოდნის კონსტრუირებას; რამდენადაა აგებული მოსწავლეთათვის ნაცნობი კონტექსტების შესაბამისი თემებით; რამდენადაა გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული; ხელს უწყობს თუ არა მოსწავლის კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნების განვითარებას;

როგორც მასწავლებელთა ინტერვიუდან და სკოლის თვითსეფასების კითხვარიდან ვგებულობთ სასკოლო საზოგადოება მრავალფეროვნებით არის გამორჩეული: სკოლაში არიან განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიური აღმსარებლობის, სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან გამოსული, მოწყვლადი ფსიქოემოციური ფონის მქონე მოსწავლეები, რომლებსაც სასწავლო პროცესში ბევრი პრობლემა ხვდებათ. კლასის ყველა დამრიგებელი აგროვებს ინფორმაციას ყველა ასეთი შემთხვევის შესახებ და აწვდის მონაცემებს სკოლლას. შემდგომ ყველა ამ მონაცემის გათვალისწინებით იგეგმება საწავლო პროცესი. სკოლა ზრუნავს რომ ყველა მოსწავლე ჩააყენოს თანაბარ პირობებში სასკოლო გარემოში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3.როგორც სკოლის თვითსეფასების კითხვარიდან ვგებულობთ სკოლას გეგმავს რომ შეფასების პროცესში მოსწავლეებიც ჩაერთონ ისე, რომ მათთვის საინტერესო და სახალისო აქტივობა სასკოლო საზოგადოებისთვისაც სასარგებლო გახდეს. ამის დიდი გამოცდილება ჯერ სკოლას არ ქვს, თუმცა იგეგმება შეგროვების გამოკითხების და დაკვირვეება რათა გათვალისწინებული იქნეს სასკოლო საზოგადოების აზრი სხვადასხვა თემებთან მიმართებაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4.მოსწავლეთა შეფასებისას გათვალისწინებულია ისეთი ფაქტორები როგორიცაა აკადემიური, სააზროვნო და სოციალური უნარები. შეფასებისას იყენებენ როგორც განმსაზღვრელ ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. სკოლას აქვს ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე მორგებული შეფასების სისტემა. 2023-2024 სასწავლო წლისთვის იგეგმება შეფასება გახდეს უფრო მიზნობრივი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თვითშეფასების კითხვარი
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (ბუნებისმეტყველება I-IV; V-VI)
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები (ბუნებისმეტყველება I-IV; V-VI)
- ვერიფიკაცია (ადგილზე)
- სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- სკოლის 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო პროექტი

შეფასება:

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ, რომ კურიკულუმის განვითარების მიზნით კათედრებზე მიმდინარეობს მუშაობა საჭიროებათა პაკეტის შესაქმნელად. შექმნის საჭიროებათა პაკეტს, გამოიყენებს გამოცდილებას პროცესის გასაუმჯობესებლად. 2023-2024 სასწ. წლიდან სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. ახალი სასწავლო წლისათვის სასკოლო კურიკულუმსა და სამოქმედო გეგმაში ასახავენ მისი განვითარებისა და მხარდაჭერის რეკომენდაციებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.როგორც მასწავლებლებთან გასაუბრებით და თვითსეფასების კითხვარიდან ირკვევა კურუკულუმის გადამუშავება ეფუძნება წინარე გამოცდილებას და მონიტორინგს. რადგან სწორედ მონიტორინგი და შეფასება აჩვენებს, თუ რამდენად მოხდა გრძელვადიან მიზნებზე გასვლა. მასწავლებლები მიღებულ გამოცდილებას, მონიტორინგსა და შეფასების შედეგები გაითვალისწინეს 2023-2024 სასწავლო წლისათვის საგნობრივი კურიკულუმების შედგენისას. ასევე გათვალისწინებული იქნა წინა სასწავლო წელს, საბაზო საფეხურზე მიღებული შედეგები და საგაკვეთილო პროცესებზე დამსწრე ქოუჩების უკუკავშირები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის კურიკულუმი;
- სასკოლო სასწავლო პროექტი;
- კომპლექსური დავალებები (მასწავლებელთა პორტფოლიოები)

თვითსეფასების კითხვარი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.საშუალო საფეხურის მასწავლებლების მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში ყველა სავალდებულო ველი შევსებულია. როგორც სკოლაში მოქმედი კათედრების წევრებმა აღნიშნეს, ისინი აგრძელებენ თანამშრომლობას და კურუკულუმის სრულყოფაზე მუშაობას ურთიერთანმაშრომლობით და ერთმანეთის გამოცდილების გაზიარებით.

მასწავლებლებთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა , რომ კარგად იცნობენ მესამე თაობის ესგ-ს და აცნობიერებენ კურიკულუმის თითოეული კომპონენტი რას მოიაზრებს, რა კავშირია მათ შორის, რა არის განსაზღვრული სტანდარტით და რისი შეცვლა შეუძლიათ საჭიროების შემთხვევაში. გასაუბრებისას მასწავლებლებმა ჩამოაყალიბეს სწორი ხედვა, თუ როგორ უნდა წარმართონ სასწავლო პროცესი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.

ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესში ჩართულია შესაბამისი კათედრის ყველა წევრი. 2023-2024 კურიკულუმის შექმნისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და შესაძლებლობები. როგორც ინტერვიუებიდან გამოჩნდა პირველ რიგში, მოხდა მოსწავლის ასაკობრივი დონისა და აკადემიური უნარების გათვალისწინება, ასევე ინტერესის სფეროები,შემდეგ კი შეიმუშავეს მოსწავლის განვითარებაზე

ორიენტირებული აქტივობების, დავალებები. სკოლის საშუალო საფეხურზე ერთ-ერთი ძლიერ მხარეა ურთიერთთანამშრომლობითი კულტურა, სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება და მათი ნაყოფიერი ჩართულობა. როგორც პედაგოგებმა ინტერვიუების დროს აღნიშნეს სასკოლო კურუკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესებიც. ასევე აქცენტი გააკეთეს იმაზეც, რომ დავალებების დიდი ნაწილი ძირითადად კლასში სრულდება და შედარებით მცირე ნაწილი აქვთ საშინაო დავალებად.

ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. კურუკულუმის შექმნაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. კურიკულუმის შემუშავების დროს კათედრებზე ხდება გამოცდილების გაზიარება, საჭიროების გაანალიზება, შემდეგ კი თანმშრომლობის საფუძველზე ხდება არსებული გამოცდილების,სასკოლო საზოგადოების მზაობის, წინარე ცოდნის, შესაძლებლობების გათვალისწინებით მოახდინეს შესაბამისი მოდიფიცირება. სკოლაში საშუალო საფეხური კურიკულუმის განვითარება არის პროცესი და ამ პროცესში კათედრის წევრებს აქვთ მზაობა, მიმღებლობა გაითვალისწინონ კოლეგების აზრი და გამოცდილება კურუკულუმის სრულყოფისთვის, სკოლაში ვიზიტის დროს, სასწავლო წლის დასაწყისში, კათედრის წევრები აგრძელებენ მუშაობას კურკუკულუმების სრულყოფისთვის და იზიარებენ კათედრის წევრების გამოცდილებას. გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, სასწავლო ექსკურსიებს, პროექტებს, და სხვადასხვა აქტივობებს. საგანში სახელმწიფო ენა ავტორიზაციის განაცხადის წარდგენის ეტაპზე სკოლას სახელმწიფო ენაში კურიკულუმის ჩარჩოებში შევსებული ჰქონდა მხოლოდ თემის, კონტექტ მაგალითებისა და რესურსების გრაფა. ვიზიტისას კი შედარებით დახვეწილი დოკუმენტაცია იქნა წარმოდგენილი- სკოლაში ხდება კურუკულუმის გაზიარება სხვადასხვა ფორმით ხდება სასკოლო საზოგადოებისთვის. მაგ: მშობელთა კრებებზე, ონლაინ პლათფორმებზე.

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

4.კათედრებთან ინტერვიუებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ხდება კურუკულუმების გაზიარება ჯერ კათედრაზე, მოგვიანებით კი აცნობენ მშობელთა კრებებზე და ასევე ონლაინ ჯგუფებში. კურუკულუმის შესახებ ინფორმაციას.კურიკულუმის ეტაპობრივად მშობლებისთვის გაზიარების მიზნით აქვთ მშობლის ბარათებიც.

ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სკოლის 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის საშუალო საფეხურის საგნობრივიკურიკულუმი;
- კათედრების სხდომის ოქმი ;
- ხარისხის მართვისა და განვითარების ჯგუფის დებულება
- კომპლექსური დავალების ბარათები
- საშუალო საფეხურის სგნობრივი კურიკულუმები
- კომპლექსური დავალებები სხვადასხვა საგანში

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმივსას მთავარი მიზანია, რომ სასწავლო პროცესი იყოს მოსწავლეზე ორიენტირებული. ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი, კოგნიტური და ინდივიდუალური თავისებურებები. წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვალისწიანებულია მოსწავლეთა ინტერესები, ორიენტირებულია მოსწავლეზე და დაგეგმილია მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე. მასწავლებლებმა ისაუბრეს რომ წინარე გამოცდილებას ყოველთვის ითვალისწინებენ და მაქსიმალურად ცდილობენ მოარგონ თავიანთ საკლასო ოთახებს, აქცენტი კეთდება კეთებით სწავლებაზე, რაც ხელს უწყობს საკითხის თუ თემის სირღმისეულ შესწავლას და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებზე გასვლას სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.

2.სკოლის მიერ წარმოდგენილ კურუკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, ისინი ხელს უწყობს შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, ანალიზის, შედარების , ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების უნარების განვითარებას და მიემართება გრძელვადიანი მიზნებისკენ. სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოხდეს

როგორც ცოდნის მიღება ასევე საჭირო უნარების განვითერება. ამის მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა განხორციელებული პროექტები და მოსწავლეების მიერ შესრულებული დავალებები. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ადასტურებს რომ კურუკულუმი მიმართულია ერივნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიანი მიზნებისკენ.

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.

3. წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარში სკოლა აღნიშნავს რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესის დაგეგმისას ითვალისწინებენ , თითოეული მოსწავლის ან მოსწავლეთა ჯგუფის, საჭიროებებს, უნარებს, ინტერესის სფეროს და შესაძლებლობებს. მასწავლებელი სწავლა-სწავლების პროცესში ცვლის სწავლის ტემპს, მეთოდებს, აქტივობებს, სტრატეგიებს, მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების, მიხედვით. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით იგეგმება კომპლექსურ დავალებაზე მუშაობაც. საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპზე სკოლა ითვალისწინებს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის ინკლუზიურ მიდგომებს და საჭიროებებს. სკოლაში მიმდინარეობს მოსწავლეთა ქცევის, პროგრესის მუდმივი დაკვირვება და შეფასება. ეს ხელს უწყობს პედაგოგებს შეიმუშაონ მოსწავლეზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. პროცესში გათვალისწინებულია მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის და რეკომენდაციები. საშუალო საფეხურზე კათედრების წევრებმა აღნიშნეს, რომ საჭიროების შემთხვევაში, ქმნიან კომპლექსური დავალებების მოდიფიცირებულ ვერსიებს სსსმ მოსწავლეებისთვის. ინტერვიუების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ცდილობენ მოსწავლეებს მისცენ არჩევანის შესაძლებოლობა დავალების შესრულებისას. მაგ: დახატონ თუ გამოძერწონ - მოსწავლეებს აქვთ არჩევანი თუ რა ფორმით წარმოადგინონ დავალება.

ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.

4.კათედრის წარმომადგენლებმა წარმოადგინეს როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი შეფასების ფორმები . მათ აღნიშნეს რომ სასწავლო წლის დასაწყისში, წინა წლის გამოცდილების საფუძველზე შეიმუშავებენ და კათედრაზე განიხილავენ განმსაზღვრელი შეფასების სქემებსა და ინდიკატორებს. განმსაზღვრელი შეფასების სქემების განხილვაში ჩართული ყავთ მოსწავლეებიც. საშუალო საფეხურის მასწავლებლებთნ ინტერვიუების დროს გამოიკვეთა რომ გაკვეთილზე იყენებენ განმავითარებელი შეფასების ზეპირ და წერილობით კომენტარებს, განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. შემუშავე4ბული კომპლექსური დავალებები ფასდება განმავითარებელი შეფასებით. მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ეფუძნება სტანდარტით განსაზღვრულ თემის ინდიკატორებს, ხოლო განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეფუძნება სამიზნე ცნებას და ამ ცნების მკვიდრ წარმოდგენებს.

ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია.

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამცდილების ანალიზი, მასწავლებლებმა გაიხსენეს რომ შეიტანეს ცვლილებები (ზოგადად შეაქვთ ცვლილებები) და მოსწავლეებს დავალებებს აღარ სთავაზობენ ისეთი ფორმით, რომელმაც არსებული გამოცდილებით არ დააინტერესა ისინი, ან არ რაიმე ფორმით არ შეესაბამებოდა მოსწავლის განვითარების დონეს. როგორც კათედრის წევრებმა აღნიშნეს 2023-2024 სასწავლო წლისთვის გეგმავენ იმ კომპლექსურების შეტანას კურუკულუმში, რომელმაც მათი დაკვირვებით კარაგად იმუშავა და ხელი შეუწყო მოსწავლეთა ჩართულობას და დაინტერესებას.

ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საშუალო საფეხურის საგნობრივი კურუკულუმები

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

წარმოდგენილი ფოტომასალა (შესრულებული დავალებები საშუალო საფეხური);

მოდიფიცირებული კომლექსური დავალების მატრიცა

- სკოლის საშუალო საფეხურის კურიკულუმი;
- სკოლის მიერ განხორციელებული სასკოლო პროექტები
- სკოლის მასწავლებლთა პორტფოლიო;
- ინდ. გეგმის ნიმუში
- ინკლუზიური განათლების კონცეფცია და გეგმა
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.

თვითშეფასების კითხვარი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
3.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
4.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. პედაგოგები მოსწავლეებს სთავაზობენ მრავალფეროვან აქტივობებს, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობის ზრდას, ამას ადასტურებს წარმოდგენილი მრავალფეროვანი აქტივობების ამსახველი ფოტომასალა. ამავე დროს კათედრის წევრებს აქვთ პროექტებზე მუშაობის გამოცდილება, რაც ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში მოსწავლეთა ჩართულობას. აღსანიშნავია კურუკულუმში წარმოდგენილი შუალედური სასწავლო მიზნები, რომელიც ხელს უწყობს როგორც მოსწავლის მოტივაციის ასევე აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

2.ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ ახალი მასალის მიწოდებისას ყოველთვის ხდება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. საგაკვეთილო პროცესში ხშირად იყენებენ ისეთ აქტივობებს, როგორიცაა: შესასვლელი ბილეთები, მოსწავლეები პასუხობენ კითხვებს რომელიც ეხება წინარე ცოდნას. იყენებენ ასოციაციურ რუკებს და სხვა.მოწოდებული კურუკულუმის ჩარჩოები იძლევა შესალებლობას დავასკვნათ, რომ ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ძირითად ნაწილში დაფარულია ყველა სამიზნე ცნება VII-XII კლასებში სავალდებულო თემატური ბლოკის ფარგლებში. მასწავლებლები მუშაობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით და აღნიშნავენ რომ მასწავლებლის წიგნიც ეხმარებათ სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპების დანერგვაში. მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას თემატური დაგეგმვისა და კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის კუთხით. კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს. თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. კურიკულუმებში მოცემულია კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც ეყრდნობა წინარე გამოცდილებას, ცხოვრებისეულ სიტუაციებს. წარმოდგენილ თემატურ მატრიცებში აქტივობებიც ისეა დალაგებული, რომ ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. ახალი ცოდნის გადასაცემა მასწავლებელი მუშაობს იმისათვის რომ მოიპოვოს ინფორმაცია თუ რა მიღწევიდ დონეს აჩვენებენ იმისთვის შედეგი იყოს უფრო უკეთესი და მოსწავლეების შემოქმედებითი პროცესებში ჩართვა ეფექტური. მოწოდებული კურიკულუმების პრაქტიკაში დანერგვა თავისთავად არის ცოდნის აგება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. საგნობირივი კურიკულუმები გათვლილია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ყოველი თემა მუშავდება ეტაპობრივად, წინარე ცოდნის გააქტიურებით იწყება კომპლექსური დავალების პირობის გააზრება, ან მისთვის ნაცნობი კონტექსტითა თუ ცხოვრებისეული მაგალითით ეხმარება ახალი ინფორმაციის ძველთან დაკავშირებაში. მასწავლებლებმა ვიზიტის დროს ისაუბრეს, რომ იყენებენ ქვიზებს, ზეპირ გამოკითხვას, ,,გონებრივი იერიშის“ მეთოდებს რათა დადგინდეს წინარე ცოდნასთან მიმართებით მოსწავლეთა მიღწევის დონე და იმის მიხედვით დანერგონ სასწავლო პროცესი, საჭიროების შემთხვევაში ისევ შეჩერდენ გავლილი მასალის განსამტკიცებელი სამუშაოების წარმოებაზე.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

3.სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეებს პედაგოგები სთავაზობენ სტრატეგიებს, რაც დაეხმარებათ მასალის უკეთ გაგებაში და გააზრებაში.გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნენ , რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლი გეგმის თანახმად ეფექტიანი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მეტაკოგნიტური სტრატეგიების გააზრებასა და გაცნობიერებაზე, ძირითადი აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. საშუალო საფეხურზე, სასწავლო პროცესი მოსწავლეთა ინდივიდუალურ გამოცდილებაზე, მათ ინტერესებსა და ცნობისმოყვარეობაზე დაყრდნობით მიმდინარეობს მსჯელობისა და დისკუსიის სახით. ხშირად იყენებენ ასოცოაციურ რუკებს.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორაზე ამას ადასტურებს საშუალო საფეხურის საგნობრივი კათედრების მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები. სკოლას საშუალო საფეხურზე აქვს სასწავლო პროექტების დაგეგმვის პრაქტიკა და გამოცდილება, რაც ასევე დასტურია იმისა რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ამის დამადასტურებელია სკოლის მიერ წარმოდგენილი ფოტო მასალა , სადაც ასახულია მოსწავლეთა ნამუშევრები., სკოლის საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა სხვადასხვა მიმართულებით განვითარებაზე.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

5.სკოლაში საშუალო საფეხურზე საგნობრივ კათედრებს აქვთ ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვისა და განხორციელების გამოცდლება.სხვადასხვა საგანში დავალებების შესრულებისას ხშირად ხდება ინტეგრირება. პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეტთან და შესაბამისი თემების ფარგლებში ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიია; (დრაფტ-ვერსია)
- საშუალო საფეხურის კურიკულუმი;
- საშუალო საფეხურის საგნობრივი სხდომის ოქმი;
- მასწავლებლთა პორტფოლიოები;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების გეგმა;
- ინდივიდუალური გემის ნიმუში ქართული (დამატებით წარმოდგენილი)
- პროექტები
- საშუალო საფეხურის კურუკულუმები
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- წარმოდგენილი ფოტომასალა
- თვითშეფასების კითხვარი
- პროექტი: დაიცავი გარემო;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. ამის დასტური ასევე არის სკოლის მიერ წარმოდგენილი კურუკულუმები, კომპლექსური დავალების ბარათები და ის აქტივობები, რომელსაც სკოლა ახორციელებს. ჩვენი დაკვირვებით, სასწავლო პროცესი ეფუძნება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას და უზრუნველყოფს თითეულ თემაში წარმოდგენილი სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე, კომპლექსური დავალება მიემართება გრძელვადიანი მიზნისკენ. ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საკვანძო კითხვებს, გამოყენებულ რესურსებს, მასალებს შორის. კომპლექსური დავალებების შეფასების კრიტერიუმები შესაბამისობაშია ცნებებთან და ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან.

ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია.

2.სკოლაში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პედაგოგები და სკოლის თანამშრომლები ზრუნავენ მოსწავლეთა როგორც პიროვნულ, ისე ფსიქო-ემოციურ განვითარებაზე და ეს ფაქტორები გათვალისწინებულია კურუკულუმის შედგენისას. როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს შესრულებული სამუშაოების წარდგენის დროს მოსწავლეები იყენებენ უთიერთშეფასების რუბრიკებს, (პრეზენტაცია, ნაშრომის წარდგენა) ეს პროცესი ხელს უწყობს

მოსწავლეთა ფსიქო -სოციალურ განვითარებას, ასევე უნდა აღინიშნოს ის რომ სკოლა როგორც ადგილზე ვიზიტის დროს, ისე ექსპერტებტან ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლა ნამდვილად ზრუნავს მშვიდი და ჯანსარი გარემოს შესაქმნელად. ინტერვიუების პროცესში წარმოჩინდა აქტივობები, რომელიც ისეა დაგეგმილი რომ მოსწავლეები ერთმანეთს მხარს უჭერენ და საჭიროების შემთხვევაში ეხმარებიან კიდეც,

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია.

3. წარმოდგენილი კურუკულუმებში ჩანს რომ . შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე ამის დასტური არის ინტერვიუების დროს გამოკვეთილი გამოცდილებაც, რომელიც პედაგოგებმა ამ მიმართულებით გაგვიზიარეს. მათი პრაქტიკიდან ჩანს, რომ საშუალო საფეხურზე სასკოლო კურიკულუმის აგებისას იყენებენ ისეთ მეთოდებს და აქტივობებს, რომლებიც გულისხმობს თეორიული ცოდნის მიწოდებასა და მის პრაქტიკულ გამოყენებას.

წარმოდგენილი აქტივობები, ფოტომასალა და ის მრავალფეროვანი სტრატეგიები რაზეც მასწავლებლებმა ისაუბრეს ნამდვილად არის მტკიცებულება იმისა რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

ინდიკატორი 2.2.2.3. დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში ჩატარებული ინტერვიუებისა და მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების, ასევე კომპლექსური დავალების ბარათების მიხედვით სკოლა ადასტურებს რომ იმ საგნებში, რომელიც ისწავლება საშუალო საფეხურზე დაცულია შეფასების ძირითადი პრინციპები. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ შეფასების

რუბრიკებს მოსწავლეებს წინდაწინ აცნობენ და მათ წინასწარ იციან ის მოთხოვნები, რომელთა მიხედვითაც შეფასდება მათი ნაშრომი. შეფასება ვალიდურია - შესაბამისობაშია მიზნებთან. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის. ამ ეტაპზე შექმნილი აქვთ შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომლებიც არის ვალიდური, სანდო და ობიექტური. სკოლის ელექტრონული ჟურნალი კი იძლევა იმის საშუალებას, რომ მშობლებს ჰქონდეთ წვდომა შვილების აკადემიურ მოსწრებასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია.

5. სკოლაში მოქმედებს ვერიფიკაციის მექანიზმი, მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების შეფასება საგნობრივ სტანდარტთან მიმართებაში ხდება. საშუალო საფეხურის საგნობრივი კათედრის წევრებს შექნილი აქვთ შეფასების რუბრიკები. მოსწავლეების მიერ წარმოდგენილ პრეზენტაციებს, წერით ნამუშევრებს, პროექტებს აფასებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებით. სკოლაში შემუშავებული აქვთ შემაჯამებელი წერის ვერიფიკაციის მექანიზმი, როგორც სკოლის თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ ხშირად აქვთ სკოლაში შემთხვევები, როდესაც მოსწავლეს ან მშობელს არ აკმაყოფილებს შემაჯამებელ დავალებაში მიღებული ქულა და საჭირო ხდება მასწავლებლის მიერ დაწერილი ქულის გადამოწმება. ამ თვალსაზრისით სკოლაში მოქმედ კათედრებზე შეიმუშავეს შემაჯამებელი დავალების ვერიფიკაციის ფორმის ერთ-ერთი ვარიანტი, რომელიც დაეხმარება მასწავლებელს დაიცვას თავისი პოზიცია, თავისი დაწერილი შეფასება, ხოლო მშობელს მისცემს საშუალებას, იხილოს თავისი შვილის ნაშრომი და დარწმუნდეს მასწავლებლის დაწერილი შეფასების სანდოობაში და სამართლიანობაში.

თვითსეფასების კითხვარიდან ასევე ჩანს რომ სამომავლოდ სკოლა გეგმავს ჯიპრაიდის დიაგნოსტიკური შეფასების პრაქტიკის დანერგვა, რომელიც ჩატარდება წელიწადში 2-ჯერ, სემესტრის ბოლოს, რაც დაეხმარებათ სწორად შევარჩიონ სამომავლოდ, მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესებაზე ორიენტირებული ეფექტური სტრატეგიები.

ინდიკატორი 2.2.2.5 დაკმაყოფილებულია.

6.სკოლა შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს, (შემაჯამებელი წერის ანალიზები, ციფრობრივი ანგარიშები, კომპლექსური დავალების ნიმუშები) მტკიცებულების სახით ინახავს 3 წლის ვადით.

ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საშუალო საფეხურის კურიკულუმი;
  არაფორმალური აქტივობების ამსახველი დოკუმენტაცია/ფოტომასალა;
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- მოსწავლეთა შემაჯამებელი დავალებების ანალიზი.
- ვერიფიკაციის მექანიზმი. (ადგილზე)
- თვითშეფასების კითხვარი;
- არაფორმალური აქტივობების ამსახველი ფოტომასალა;
- საფეხურის მასწავლებლთა სადამრიგებლო პროგრამა

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.მასწავლებლებმა ინტერვიუების დროს აღნიშნეს, ისინი საჭიროების შემთხვევაში, ყოველთვის უწევენ დამატებით კონსულტაციას მოსწავლეებს. საშუალო საფეხურის პედაგოგებმა აღნიშნეს რომ როცა მოსწავლე აცდენს გაკვეთილს ცდილობენ არ ახსნან ახალი მასალა ან ისე დასვან გაკვეთილზე კითხვები იმ მასალიდან, რომ კონკრეტული მოსწავლე რომელიც არ ესწრებოდა იმ გაკვეთილს, მისთვისაც საინტერესო იყოს და შეძლოს საგაკვეთილო პროცესში ჩართულობა. ეს და სხვა მაგალითები მოწმობს, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მიმღეობითი და მხარდაჭერი გარემო, რაც შეეხება,მასწავლებელებს შორის: თანამშრომლობითი ურთიერთობებს, გამოცდილების გაზიარებასა, და გამოწვევებისადმი გუნდურ მიდგომას, ყველა ეს მიმართულება პრიორიტეტია მათი საქმიანობის პროცესში. ისინი ერთად ერთობლივი ძალისხმევით ზრუნავენ მოსწავლეთა აკადემიურ და პიროვნულ წინსვლაზე.

ინდიკატორი 2.2.3.1 დაკმაყოფილებულია.

2.სკოლაში შექმნილია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო. სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისას გათვალისწინებულია, რომ კომპლექსური დავალებებ, სხვხადასხვა აქტივიბები, იმგვარად შემუშავდეს, რომ ხელი შეუწყოს მოსწავლეთა თანამშრომლობას, პოზიტიური დამოკიდებულების განმტკიცებას. ასევე აღსანიშნავია, რომ ჯგუფური მუშაობისას მოსწავლეები ერთმანეთის ნამუშევრებს აფასებენ. სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებელი ზრუნავს საგაკვეთილო ოთახში უსაფრთხო გარემოს შექმნაზე, ცდილობს ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში. მოსწავლეებს შეუძლიათ თვითონ გააკეთონ არჩევანი დავალების შესრულებისას - რა ფორმით წარმოადგინონ დავალება. გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები და უნარები. გასაუბრებაზე

გამოიკვეთა მასწავლებლების განსაკუთრეული ყურადრება და ზრუნვა ამ მიმართულებით. ასევე როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს მოსწავლეებს შეუძლიათ ყოველთვის მიმართონ დახმარებისთვის.

ინდიკატორი 2.2.3.2 დაკმაყოფილებულია.

3.სკოლაში ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა,რომ არის პედაგოგებს შორის შორის თანამშრომლობის მაღალი კულტურა, ისინი კურიკულუმის შექმნისა და განვითარების პროცესში ხშირად იკრიბებიან კათედრაზე, მსჯელობენ და უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ხდება გაკვეთილზებზე ურთიერთდასწრებაც. ითვალისწინებენ კოლეგისგან მიღებულ რჩევებს. ეს კი ხელს უწყობს სწავლის ხარისხის ამაღლებას და სასწავლო პროცესის უკეთ დაგეგმვას.

ინდიკატორი 2.2.3.3 დაკმაყოფილებულია.

4.მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სკოლა და თითეული მასწავლებელი ზრუნავს პოზიტიური სასკოლო გარემოს შექმნაზე, რაც ნამდვილად შეიმჩნევა. სკოლასი შექმნილია კეთილმოწყობილი გარემო, რაც პოზოტიურად განწყობის ხელისშემწყობია. შესამჩნევია თბილი, კეთილგანწყობილი ურთიერთობაა პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის; როგორც მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს მოსწავლეები თამამად გამოთქვამენ მოსაზრებას, შეხედულებას, მონაწილეობენ პროექტების იდეების, აქტივობების შერჩევა-დაგეგმვაში; არ ეშინიათ შეცდომების დაშვებისა; ზრუნავენ ერთმანეთზე; პატივს სცემენ სხვების აზრს; ყოველივე ეს კი სასკოლო საზოგადოების მუშაობის, ერთიანი ხედვისა და კომუნიკაციის შედეგია.

ინდიკატორი 2.2.3.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის პედაგოგიური საბჭოს ოქმი
- მასწავლებლებთან ინტერვიუ;
- თვითშეფასების კითხვარი
- მოდიფიცირებული კომპექსური დავალების მატრიცის ნიმუში
- ისგ გეგმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1.მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით ჩანს , რომ სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. როგორც ინტერვიუების დროს სკოლის პედაგოგებმა აღნიშნეს მოხდება პროცესზე დაკვირვება, მთელი წლის განმავლობაში - მოახდენენ მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებას ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში, იქნება პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება. მომავალი წლის კურუკულუმში გაითვალისწინებენ იმ სუსტ და ძლიერ მხარეებს რაც გამოიკვეთება კვლევის და დაკვირვების შედეგად. სკოლას ამ ეტაპზე კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია აქვს შემუშავებული, თუმცა ჯერჯერობით არ ამოქმედებულა. ამ ეტაპამდე მონიტორინგის ფუნქცია სკოლაში ხარისხის მართვის ჯგუფსა და საგნობრივი კათედრებზე, რომლებიც ახდენენ აღნიშნული საკითხის მონიოტირნგს დირექციასთან ერთად. მონიტორინგის შედეგების განხილვა ხდება მშვიდ, მეგობრულ გარემოში, ხდება სამუშაო პროცესში აღმოცენილი ხარვეზების მითითეხა და მისი აღმოფხვრის გზების ძიებას. გასაუბრებით კათედრის დონეზე გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებას მოსწავლეების შედეგების კვლევისა და მასწავლებლებელთა თვითრეფლექსიის შედეგებზე დაყრდნობით მოახდენენ. ასევე შეეცდებიან ამ შედეგების გაუმჯობესების მექანიზმების დანერგვას.

ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. როგორც სკოლის თვითსეფასების კითხვარიდან ჩანს, სკოლას აქვს სწორი ხედვა, მათ გააზრებული აქვთ რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერას, სკოლა გეგმავს რომ შეფასების სისტემა გახადოს გამჭვირვალე და ვალიდური, რაც მშობლის როლს კიდევ უფრო გააქტიურებს ამ პროცესში.
მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. ურთიერთანამშრომლობა დაფუძნებულია მხარდაჭერაზე, რაც გულისხმობს მიღწევების ანალიზსა და წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ დაგეგმვას. ამგვარი ანალიზი ახალი შესაძლებლობებისათვის არის გამიზნული. საუბრისას აღინიშნა, რომ კათედრის ხელმძღვანელები ესწრებიან გაკვეთილებს,

ახორციელებენ მონიტორინგს და კათედრის წევრებს რეფლექსიის სახით სთავაზობენ განვითარებაზე ორინტირებულ უკუკავშირს.

ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია.

3.ახალი 2023-2024 სასწავლო წლისთვის იგეგმება მონოტორინგისა და შეფასების ვალიდური რუბრიკების შექმნა, რაც ხელს შეუწყობს არსებული პრობლემების გამოგკვეთას და გადაჭრის გზების ძიებას.

ინდიკატორი 2.3.1.3 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- თვითსეფასების კითხვარი
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ რომ სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს და ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს (მასწავლებელთა თვითრეფლექსიები, გაკვეთილზე დაკვირვების რუბრიკები)ფასდება მოსწავლის ზოგადი მიღწევები: რა შეასრულა, როგორ შეასრულა, რა უნარ-ჩვევები გამოიმუშავა.

ინდიკატორი 2.3.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. როგორც კათედრის წევრებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, მათ გათავისებული და გააზრებული აქვთ რომ სასწავლო პროცესის შეფასება უნდა გახორციელდეს სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით. კერძოდ, რამდენად ეხმარება კურიკულუმი მოსწავლეთა და მასწავლებელთა შინაგანი მოტივაციის ამაღლებას; რამდენად უწყობს ხელს ცოდნის კონსტრუირებას; რამდენადაა აგებული მოსწავლეთათვის ნაცნობი კონტექსტების შესაბამისი თემებით; რამდენადაა გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული; ხელს უწყობს თუ არა მოსწავლის კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნების განვითარებას;
როგორც მასწავლებელთა ინტერვიუდან და სკოლის თვითსეფასების კითხვარიდან ვგებულობთ სასკოლო საზოგადოება მრავალფეროვნებით არის გამორჩეული: სკოლაში არიან განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიური აღმსარებლობის, სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან გამოსული, მოწყვლადი ფსიქოემოციური ფონის მქონე მოსწავლეები, რომლებსაც სასწავლო პროცესში ბევრი პრობლემა ხვდებათ. კლასის ყველა დამრიგებელი აგროვებს ინფორმაციას ყველა ასეთი შემთხვევის შესახებ და აწვდის მონაცემებს სკოლლას. შემდგომ ყველა ამ მონაცემის გათვალისწინებით იგეგმება საწავლო პროცესი. სკოლა ზრუნავს რომ ყველა მოსწავლე ჩააყენოს თანაბარ პირობებში სასკოლო გარემოში.

ინდიკატორი 2.3.2.2 დაკმაყოფილებულია.

3.როგორც სკოლის თვითსეფასების კითხვარიდან ვგებულობთ სკოლას გეგმავს რომ შეფასების პროცესში მოსწავლეებიც ჩაერთონ ისე, რომ მათთვის საინტერესო და სახალისო აქტივობა სასკოლო საზოგადოებისთვისაც სასარგებლო გახდეს. ამის დიდი გამოცდილება ჯერ სკოლას არ ქვს, თუმცა იგეგმება შეგროვების გამოკითხების და დაკვირვეება რათა გათვალისწინებული იქნეს სასკოლო საზოგადოების აზრი სხვადასხვა თემებთან მიმართებაში.

ინდიკატორი 2.3.2.3 დაკმაყოფილებულია.

4.მოსწავლეთა შეფასებისას გათვალისწინებულია ისეთი ფაქტორები როგორიცაა აკადემიური, სააზროვნო და სოციალური უნარები. შეფასებისას იყენებენ როგორც განმსაზღვრელ ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. სკოლას აქვს ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე მორგებული შეფასების სისტემა. 2023-2024 სასწავლო წლისთვის იგეგმება შეფასება გახდეს უფრო მიზნობრივი.

ინდიკატორი 2.3.2.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თვითშეფასების კითხვარი
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- ვერიფიკაცია (ადგილზე)
- სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- სკოლის 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო პროექტი

შეფასება:

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ, რომ კურიკულუმის განვითარების მიზნით კათედრებზე მიმდინარეობს მუშაობა საჭიროებათა პაკეტის შესაქმნელად. შექმნის საჭიროებათა პაკეტს, გამოიყენებს გამოცდილებას პროცესის გასაუმჯობესებლად. 2023-2024 სასწ. წლიდან სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. ახალი სასწავლო წლისათვის სასკოლო კურიკულუმსა და სამოქმედო გეგმაში ასახავენ მისი განვითარებისა და მხარდაჭერის რეკომენდაციებს.

ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია.

2.როგორც მასწავლებლებთან გასაუბრებით და თვითსეფასების კითხვარიდან ირკვევა კურუკულუმის გადამუშავება ეფუძნება წინარე გამოცდილებას და მონიტორინგს. რადგან სწორედ მონიტორინგი და შეფასება აჩვენებს, თუ რამდენად მოხდა გრძელვადიან მიზნებზე გასვლა. მასწავლებლები მიღებულ გამოცდილებას, მონიტორინგსა და შეფასების შედეგები გაითვალისწინეს 2023-2024 სასწავლო წლისათვის საგნობრივი კურიკულუმების შედგენისას. ასევე გათვალისწინებული იქნა წინა სასწავლო წელს, საშუალო საფეხურზე მიღებული შედეგები და საგაკვეთილო პროცესებზე დამსწრე ქოუჩების უკუკავშირები.

ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საშუალო საფეხურის კურიკულუმი;
სასკოლო სასწავლო პროექტები;
კომპლექსური დავალებები (მასწავლებელთა პორტფოლიოები)

თვითსეფასების კითხვარი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 4 დაზიპული ფაილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



3.11.2023წ

თარიღი